ბასიანის ძეგლების
2023 წლის
საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

ბასიანის ძეგლების
2023 წლის
საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

თბილისი 2024

ბასიანის ძეგლების 2023 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

საკვლევი ექსპედიცია ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის"** – გამარჯვებული პროექტის – **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი" [NFR – 19 – 12539]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

ექსპედიციის ანგარიში მოამზადეს: პროფესორმა **თეიმურაზ ხუციშვილმა** (ხელმძღვანელი), **ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა,** პროფესორმა **დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე).**

კონსულტანტები: არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სამი პატაჯი** (თურქეთი).

ანგარიში იბეჭდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** დაფინანსებით.

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2012-2023 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებული 31 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

Report of 2023 Research Expedition of Basiani Monuments

The research expedition was conducted the frame of the winner project – **"Basiani - bilingual printed and online catalog of material culture monuments" [NFR – 19 – 12539]** which was announced by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSF)** in 2019 within state scientific grant competition - **Scientific Research of Material and Spiritual Heritage of Georgia Aboard**.

The project is being implemented by **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources.**

The expedition report was prepared by: Professor **Teimuraz Khutsishvili** (the head), **Nodar Aronishidze, David Gachechladze, Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili,** Professor **David Maisuradze, Levan Tsikarishvili Davut Hakan Berk (Mofinadze).**

The consultants: Dr. of Archaeology **Sami Pataci (Turkey).**

The expedition report is printed by **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** funding.

The material is sorted alphabetically by the names of the described monuments.

Photos that are not indicated the owner or the author are taken during the expedition work.

The reports of 31 expeditions conducted by the group of authors in the Republic of Turkey in 2012-2023 have been published since 2015.

© თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე, დ. გაჩეჩილაძე, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი, დ. ჰაკან ბერქ.
კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. საკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, N. Aronishidze, D. Gachechladze, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili, D. Hakan Berk.
"Caucasus University Publishing House", P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9888-5-1

სარჩევი

შესავალი 4

ძეგლების აღწერილობა 5

ალაქილისე, ეკლესია 6

ანდაკა, კლდეში ნაკვეთი მონასტერი და ციხე 8

არუჩაქრაგი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 11

აღულლუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 13

ბედრევანქი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 14

გეჯიკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 16

დელიბაბა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 18

დელიბაბა, ძველი თურბე 19

ვანასორი, ციხე (?) 20

თავშანჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის აღმოსავლეთით 22

იაზილიტაში, ციხე და ურარტული წარწერა 24

იღირბიღირი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 26

კაინარჯა, ციხე 30

კაინარჯა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 31

კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა 32

კარაჯავირანი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 34

კიზლარკალე, ციხე (?) 34

მასრა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 35

მაღარაჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 36

მენევიურთი, მშრალი წყობის ნაგებობა 38

მოლამელიქი, ეკლესია (?) 40

მოლამელიქი, ციხე (?) სოფლის აღმოსავლეთით 41

სანამერი, ნაგებობები 41

ხანეგე, გამოქვაბულები და არქიტექტურული კომპლექსი 42

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 45

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთით 47

ხიდირილიასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 49

ხოშაბი, ეკლესია 51

ჰაიდარკომუ, სოფელთან დაფიქსირებული საფლავის ქვა 52

ჰაიდარკომუ სუფლა, სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა 53

ჰასანბეი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 53

დანართი 56

ლიტერატურა 65

შესავალი

ბასიანი, როგორც ერთ-ერთი ისტორიული მხარე, მოიცავდა მდინარე არაქსის ზემო წელის აუზს თავისი ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის – ფასიანის/ფასის წყლის აუზთან ერთად. ამჟამად, თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ამ ტერიტორიას მოიცავს ერზურუმის პროვინციაში შემავალი 3 რაიონი; ესენია: ფასინლერის, ქოფრუქოის და ხორასნის რაიონები. ამ სამ რაიონში სულ 200-მდე სოფელია. ბასიანი ამასთანავე იყოფოდა 2 ნაწილად: ზემო (ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონები) და ქვემო (ხორასნის რაიონი) ბასიანად.

გეოგრაფიულად ბასიანი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ და გაშლილ ვაკეს, რომელიც სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მთებით და ქედებით. მას დასავლეთიდან საზღვრავს დევებოინუს ქედი, რომელიც პალანდოკენის და კარგაფაზარის მთებს შორისაა მოქცეული, ჩრდილოეთიდან კარგაფაზარის მთები და მისგან აღმოსავლეთით გაწოლილი ქედი სარიყამიშის მთებამდე, სამხრეთიდან კი შახველეთის და ჩაქმაქის მთები.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს რომ მხარე, უძველესი დროიდანვე თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად ეს ტერიტორია ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. ასურეთი, ურარტუ, დიაოხი, რომის იმპერია, სომხეთი, სპარსეთი, არაბეთი, საქართველო, თურქ-სელჩუკები – ეს იმ სახელმწიფოების და იმპერიების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შემადგენლობაშიც ბასიანი გარკვეული პერიოდი შედიოდა ხოლმე. XVI საუკუნის შუა ხანებიდან მხარე უკვე საბოლოოდ შევიდა ოსმალეთის იმპერიის, შესაბამისად თურქეთის შემადგენლობაში.

ამ მხარეში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესახებ საკვლევი ექსპედიციები ქართული მხარის მიერ პრაქტიკულად არ ჩატარებულა. 2022 წელს ჩვენს მიერ ჩატარდა 1 ექსპედიცია (9 დღე) ისტორიულ ბასიანის ნაწილში (თანამედროვე ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონებში). შესწავლილ იქნა ამ მხარეში მდებარე 100-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები. დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი 30-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა (ძეგლები ძირითადად თურქულ ლიტერატურაში იყო მოხსენიებული). გარდა ამისა, გამოვლინდა 25-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

2023 წლის ექსპედიციის ანგარიშში წარმოდგენილია მასალები ისტორიული ბასიანის კულტურის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. საკვლევი ექსპედიცია ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის"** – გამარ-ჯვებული პროექტის – **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი" [NFR – 19 – 12539]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

2023 წელს ჩატარდა 1 ექსპედიცია (9 დღე) ისტორიულ ბასიანის ნაწილში (თანამედროვე ჰორასანის რაიონში). შესწავლილია ამ მხარეში მდებარე 100-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები. დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი 20-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა (ძეგლები ძირითადად თურქულ ლიტერატურაში იყო მოხსენიებული). გარდა ამისა, გამოვლინდა 15-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: ეკლესიები, მონასტრები, ციხეები, მშრალი წყობის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, კლდეში ნაკვეთი კომპლექსები. აგრეთვე ცალკეული თურქული ძეგლები.

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, დადგინდა GPS კოორდინატები და მოძიებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია **„კვლევის ცენტრის"** ფეისბუქ გვერდზე (**საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი**).

ძეგლების აღწერილობა

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

ალაქილისე, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ალაქილისე, თანამედროვე იეშილდერე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yeşildere, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით მცირე ბორცვზე, რომელიც სოფელს გადაჰყურებს, მდებარეობს ნაგებობის ნაშთები (40°07'28.94"N 42°05'18.69"E). ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ის გასულ საუკუნეში აუფეთქებიათ. აფეთქების მიზეზი ის გახლდათ, რომ მოცემული შენობა სავარაუდოდ სომხურ ეკლესიას წარმოადგენდა, რასაც მოწმობს კიდევაც სოფლის ძველი სახელწოდება - „ალაქილისე“, რაც ითარგმნება, როგორც წითელი ეკლესია. ადგილობრივების ზუსტი მითითებით და ნაწილის მეხსიერებით აქ მდგარა ეკლესია, რომლის სამშენებლო მასალადაც გამოყენებული იყო წითელი შეფერილობის ქვა. ტერიტორია, რომელზეც ამჟამად მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, მომდევნო პერიოდში სამხედრო დანიშნულების ნაგებობად გამოიყენებოდა და სწორედ ამ დროს იქნა ბორცვის ერთ ნაწილზე დასხმული ბეტონის საკმაოდ მოზრდილი ბაქანი. ამ გვიანდელი ბეტონის მონაკვეთმა დაფარა ძველი, იმ დროისთვის უკვე აფეთქებული, ეკლესიის დასავლეთი ნაწილი, თუმცა დღეს ეს ბეტონის სხმულიც დაზიანებული და ნაწილობრივ დაშლილია.

მთის ფერდის თავზე, მცირე მოვაკებაზე აგებული უნდა ყოფილიყო საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობა, რომელსაც აღნიშნული ტერიტორია თითქმის სრულად უნდა ჰქონოდა შევსებული. განთავსების გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე აშკარაა, რომ ეკლესია სოფელს გადაჰყურებდა, ხოლო სოფლიდან ეს უკანასკნელი მკაფიოდ გამოჩნდებოდა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ნაგებობის სამშენებლო მასალის ნაწილს, როგორც მოსახლეობა ირწმუნება, წითელი შეფერილობა ჰქონდა, მაშინ გამოდის, რომ ის საკმაოდ მკვეთრი და აქტიური ნაწილი იქნებოდა სოფლის სანახებისა. ბორცვის თავზე არსებული ტერიტორია სადღეისოდ სრულად ნანგრევის სახითაა წარმოდგენილი, სადაც ერთმანეთშია არეული, როგორც ეკლესიის, ისე მოგვიანო სამხედრო ნაგებობის ნაშალი ნაწილები. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ართულებს პერიმეტრის აღქმის პროცეს ისიც, რომ ფრაგმენტების დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული და მათი მხოლოდ ნაწილები ჩანს ზედაპირზე. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ვერ გაირჩევა ძეგლის გეგმა, შესაბამისად კი - მისი ტიპი. ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად იკითხება ეკლესიის ნაწილები, მისი შვერილები და აფეთქებული ნაგლეჯები, ჩანს სქელი ფენა დუღაბნარევი ქვებისა. ეს წარმოადგენდა ტაძრის კედლების ძირითადი კონსტრუქციული ნაწილების პერანგის შიდა მასას, რომელიც გარედან საფასადო წყობით უნდა ყოფილიყო დაფარული. აღნიშნული რეგიონისთვის სახასიათო მოვლენად წარმოგვიდგება ძველი, დანგრეულ-დაშლილი ეკლესიების სამშენებლო მასალის სახლებისთვის მოხმარების პრაქტიკა. მოცემულ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ საფასადო წყობის ქვები, რომლებიც წესით მრავლად უნდა ყოფილიყო ტაძრის პერიმეტრზე მიმოფანტული, გამოუყენებიათ სოფლის ამა თუ იმ ნაგებობის მშენებლობისას.

უშუალოდ ეკლესიის ნანგრევების მიხედვით კი შეგვიძლია რამდენიმე დასკვნაზე გავიდეთ. ადგილზე დარჩენილი დუღაბის ფენების, მათი ზოგადი ფორმებისა და კონტურების მიხედვით მიგვაჩნია, რომ სამქე უნდა გვქონდეს გუმბათოვან ტაძართან. ამის დასტურად შეიძლება გამოდგეს, ერთი მხრივ ის მასური მოცულობა, რომელიც პერიმეტრზეა გაშლილი, ყოფილი ტაძრის სახით, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ დუღაბიანი ფრაგმენტები, სადაც განირჩევა გუმბათქვეშა კონსტრუქციის ელემენტები. ეს დეტალები, მართალია ძალიან შელახულია, მაგრამ მაინც იძლევა მხოლოდ ერთი ზოგადი დასკვნის საშუალებას, რომ ეკლესია გუმბათიანი იქნებოდა. ნაგებობის სიახლოვეს და უშუალოდ მის პერიმეტრზე გვხვდება სხვადასხვა ზომის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ მოცემული არტეფაქტები სხვადასხვა დანიშნულებისაა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებთან.

ტაძრის ირგვლივ მიმოფანტული სხვა ფრაგმენტები შედარებით მცირე ზომისაა და ნაკლებ მეტყველი, როგორც მხატვრული, ისე ინფორმაციული თვალსაზრისით. ყურადღებას იქცევს ერთი მცირე დეტალი, რომელიც ჩვენი ხედვით ლორფინის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს მცირე ფრაგმენტი წითელი შეფერილობისაა და შესაბამისად, ჩნდება მოსაზრება, რომ სახელწოდება - „ალაქილისე“, წითელი ეკლესია - შესაძლოა სწორედ ამიტომ ეწოდებოდა. ამგვარად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ტაძრის კედლები კი არა,

ლორფინის გადახურვა იყო წითელი და სწორედ აქედან გაჩნდა სახელწოდებაც. დამატებითი კვლევებისა და მასალების გარეშე, ძეგლის ზუსტი თარიღისა თუ ტიპოლოგიური კუთვნილების დადგენა შეუძლებელია. ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის ნანგრევები

ფოტო 2. ჩამოშლილი გუმბათქვეშა კონსტრუქცია

ფოტო 3, 4. ეკლესიის ტერიტორია

ფოტო 5, 6. ეკლესიის სამშენებლო მასალები

ფოტო 7, 8. კერამიკის ფრაგმენტები ეკლესიის პერიმეტრზე

ანდაკა, კლდეში ნაკვეთი მონასტერი და ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ანდაკა, თანამედროვე იარბოღაზი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yarboğaz, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან დასავლეთით, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით არსებულ კლდოვან ქარაფზე (39°57'16.01"N 42°12'41.12"E). გაშლილ სივრცეში, ფერდობებზე ამოზრდილი კლდოვანი მასის ზედაპირი ციხეს, ხოლო თავად კლდის ქარაფები გამოქვაბულთა კომპლექსებს ეკავა. სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ გამოქვაბულთა ნაწილი, ხოლო ციხის კვალი არ იკითხება.

დაახლოებით 110-120 მეტრის სიგანეზე გაშლილი კლდოვანი მასა სიმაღლით დაახლოებით 40-50 მერტს აღწევს. კლდე წინა მხრიდან ქარაფის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო უკანა ნაწილით ის ბორცვებს ებჯინება და იოლი მისასვლელია. არსებული ცნობების მიხედვით კლდის თავზე ციხე უნდა ყოფილიყო გაშენებული, თუმცა მისი კვალი არ შეიმჩნევა. გვხვდება მხოლოდ კლდოვან მასაში ალაგ-ალაგ ჩაჭრილი ღარები და ღრმულები, თუმცა მათი დაკავშირება თავდაცვითი სისტემის რაიმე ნაწილთან ძნელია. განსხვავებით ციხისგან უკეთაა შემონახული კლდოვან ქარაფზე არსებული გამოქვაბული კომპლექსების, სხვადასხვა დაცულობის, ნაწილები. აქვე აღსანიშნავია, რომ თავად ქვაბულთა დიდი ნაწილი დაკარგულია. კლდის მარტივად შლადი ქანების გათვალისწინებით გასაგები ხდება დანაკარგის დიდი წილი. ზოგიერთ მონაკვეთზე გვხვდება გამოქარული არეები, ზოგან კი ჩამოშლილია ქვაბების წინა არეები, მათი „საფასადო“ კედლები. მარცხნიდან მარჯვნივ პანორამულად წარმოდგენილი ნაკვეთობების წაკითხვის შემთხვევაში ქვაბულთა თანმიმდევრობა არაერთგვაროვანია როგორც დაცულობის, ისე მათი კონცენტრაციის თვალსაზრისით. კლდოვანი მასის დასაწყისიდან დაახლოებით 20 მეტრის მოშორებით, პირობითად პირველი და მეორე სართულების დონეზე, გვხვდება რამდენიმე გამოქვაბულის ზურგის არე. მათი დიდი ნაწილი, წინა პირი, ჩამოშლილი და გამორეცხილია. ერთგვარად პირველი ჯგუფი მოცემულია სულ ორი შესამჩნევი ქვაბის სახით, რომლებიც ერთმანეთის თავზე, დიაგონალურადაა განთავსებული. აღნიშნული გამოქვაბულებიდან თითქმის არაფერი იკითხება, გარდა ზურგის მონაკვეთებისა და ნათლად ჩანს, რომ ორივე მცირე ზომის უნდა ყოფილიყო. ამავე ხაზზე, ხსენებული ქვაბებიდან დაახლოებით 10 და 20 მეტრის მანძილზე, პირველი სართულების დონეზე, მოცემულია შედარებით დიდი ზომის, მართკუთხა გეგმარების ორი სათავსი. აღნიშნული ნაკვეთობებიდან ორივე დაახლოებით ერთი ზომისაა და ორივე მათგანი სიგანეშია წაგრძელებული. აქედან ერთი დაბლა, მიწის დონეზეა განთავსებული და მისი წინა მხარე ჩამოშლილია. სათავსიდან შემორჩენილია სამი კედელი და მცირე დეტალები - მათ შორის, ქვაბულის თავზე არსებული საჭედური, რომელიც სავარაუდოდ ხის ძელების არსებობას უნდა გულისხმობდეს. ინტერიერში კი გვხვდება ორ, განივ მხარეს არსებული მცირე ნიში, რომელთაგან მარცხენა უკეთაა შემორჩენილი. აღნიშნული სათავსი დიდი ალბათობით საცხოვრებელი ან საყოფაცხოვრებო უნდა ყოფილიყო - მისი საკულტო დანიშნულება თითქმის გამორიცხულია. რაც შეეხება მეორე სათავს, ის მეორე სართულის დონეზეა გაჭრილი და შედარებით მცირე ზომისაა. დაზიანების გამო მისი დეტალები არ იკითხება, თუმცა ჩანს შესასვლელი არის, „საფასადო“ ნაწილის პირზე საფეხური, რომელიც შესაძლოა კიბის ნაწილი ყოფილიყო. ამავე ქვაბის ქვემოთ, უკვე პირველი სართულის დონეზე განირჩევა კომპლექსური გააზრება ქვაბებისა, რომელთაგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.

უკვე მომდევნო მონაკვეთზე, ბოლო ქვაბულებიდან 10 მეტრის მოშორებით, გვხვდება მასშტაბური კომპლექსი, სადაც მოცემულია ორ სართულად გააზრებული, რამდენიმესათავსიანი ლოკალური ჯგუფი გამოქვაბულებისა. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილია საკულტო დანიშნულების სათავსები პირველ სართულზე და მათ თავზე არსებული სხვა დანიშნულების სენაკები. პირველი სართულის სიღრმეში განთავსებულია რამდენიმე გამოქვაბული - მათ შორის, ძირითადი არის ორი სათავსი, რომლებიც ერთმანეთთან კუთხით არიან განთავსებულნი. ერთი მათგანი, მარცხენა, კლდის სიღრმეში პირითაა შეჭრილი და აფსიდალური მომრგვალებით სრულდება. კლდის სიღრმეში არსებული ოვალური ბოლო ერთი საფეხურითაა შემაღლებული და ქმნის აფსიდის ფორმას, თუმცა დიდი ალბათობით, ეს არ უნდა იყოს საკურთხეველი. არსებული ფორმების მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სათავსი ეკლესიის დამატებითი სივრცე ან მცირე სამლოცველოა, რომელიც ტაძარს ებჯინება. აფსიდალური ნაწილის გვერდით კედლებზე დაახლოებით 1.3-1.4 მეტრის სიმაღლეზე, ე.წ. მხრების არეზე იკითხება ფოსოები, ბუდეები, რომლებიც დიდი ალბათობით ხის ძელის სამაგრებს

წარმოადგენდა. გამოქვაბული, როგორც ითქვა, კლდის სიღრმეში ვითარდება და მისი სიგრძე-სიგანე დაახლოებით 3.5x2 მერტია. სათავსის კედლები კარგადაა გათლილი და დამუშავებული, თუმცა დამატებითი ელემენტები კლდის სიღრმეში არაა გამოჭრილი. არც დეკორატიული თუ კონსტრუქციული გაფორმების ელემენტები გვხვდება ქვაბის კედლებზე. სათავსის დასავლეთით ერთგვარი ბაქანია, რომლის პერპენდიკულარულადაც წარმოდგენილია კომპლექსის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამოქვაბული. ესაა დაახლოებით 4.5 მეტრის სიგრძისა და 2.5 მეტრის სიგანის სათავსი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე დანამდვილებით აფსიდით სრულდება. აფსიდის მოხაზულობა არასრული ნახევარწრეა, ორსაფეხუროვანი, დაახლოებით 0.5 მეტრითაა შემაღლებული და საკურთხევლის რკალში გაჭრილია მცირე ნიში. სათავსი დაზიანებულია - ჩამოშლილია მისი კამარისა და სამხრეთი კედლის ნაწილი, რომელიც კლდის ქარაფის „საფასადო“ ნაწილზე გადის. სავარაუდოა, რომ საკურთხევლის სამხრეთ კედელში სარკმელი იქნებოდა გაჭრილი, სადაც ახლა დიდი ბზარია მოცემული. ეკლესია, როგორც ვხედავთ, დარბაზულია და მის ჩრდილო აღმოსავლეთ მონაკვეთში მოცემულია მცირე სათავსი, რომელიც კლდის სიღრმეშია შეჭრილი. ეს მართკუთხა ოთახი საკმაოდ უცნაური გადაწყვეტით ხასიათდება და ძნელი დასადგენია მისი ფუნქციური დატვირთვა - ქვაბულის ბოლოში მოცემულია ერთგვარი დასაჯდომის სახით გააზრებული კედელი, სადაც ორი სხვადასხვა სიმაღლის ბაქანი წარმოიქმნება, ხოლო მათ შორის შემაღლებული არე. აქ შესაძლოა ვივარაუდოთ, როგორც სამკვეთლოს, ისე სანათლავის არსებობა. შესაძლოა ეს იყოს უბრალოდ დამატებითი სათავსი და მართლაც მხოლოდღა დასაჯდომი. ამავე სათავსში გვხვდება მცირე ზომის, სამკუთხა მოხაზულობის ნიში. კედლები საკმაოდ სუფთადაა გათლილი, ხოლო სხვადასხვა მონაკვეთზე განირჩევა თაღოვანი და კამაროვანი ელემენტები.

უშუალოდ ეკლესიის სივრცე, დარბაზული მონაკვეთი კამარით ყოფილა განსრულებული. არასრული ნახევარწრის მქონე კამაროვანი გადახურვა ნაწილობრივ ჩამოშლილია. საყურადღებოა, რომ აფსიდის წინ, კონქის ზედა მონაკვეთზე ერთგვარი შუბლის სახით ნაკვეთია საფეხუროვანი შვერილი, რომელიც განსაკუთრებული აქცენტრირებით გამოყოფდა საკურთხეველს. დარბაზული ეკლესიის აფსიდის გვერდით, მარცხენა მხარეს, როგორც აღინიშნა, მცირე სათავსია, რომელში შესასვლელადაც ფართო კარია გამოკაფული. კარს საკმაოდ ზუსტი, მართკუთხა მოხაზულობა აქვს და მის მიღმა არსებულ არსე იმდენად ღიად წარმოაჩენს, რომ განცდა სათავსის დამოუკიდებლობისა არ რჩება. ამდენად, ესაა ერთიანი სივრცე, რომელსაც გარდა ცენტრალური დარბაზისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი „მინაშენი“ და დასავლეთით ღია ბაქანი (რომელიც ამავდროულად სხვა ქვაბულსაც უკავშირდება), აფორმირებს. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ დარბაზში, მისი კამარების ერთ მონაკვეთზე განირჩევა რამდენიმე სომხური გრაფემა. მკვეთრად იკითხება ორი, ხოლო დაზიანებულ არეზე შესაძლოა ყოფილიყო ბევრად ვრცელი ნაწილი. კედლებზე მრავლადაა ნაკვეთი მცირე და საშუალო ზომის, მარტივი პროფილირების ჯვრები.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ მოცემული დარბაზული ეკლესიის თავზე კიდევ იყო გამოჭრილი რამდენიმე სათავსი. სადღეისოდ ეს მონაკვეთი ძლიერ დაზიანებული სახით წარმოგვიდგება, მაგრამ განირჩევა რამდენიმე გამოქვაბულის კედლის კვალი - მათ შორის, უშუალოდ ეკლესიის თავზე გვხვდება, ერთმანეთის გვერდით, დიდი ალბათობით ერთმანეთში გამავალი, ორი სათავსის კედლების ფრაგმენტები. ერთი, რომლის დამხრობაც მის ქვეშ არსებული ტაძრის პრინციპს მისდევს, შედარებით განიერი და მოზრდილია, ხოლო მეორე ცერადაა ნაკაფი და ოდნავ დაძრულია ღერძიდან მარჯვნივ. ორივე ეს სათავსი ტაძრის თავზე უნდა ყოფილიყო განთავსებული, ხოლო დასავლეთით, ე.წ. ბაქნის თავზე ჩვენ გვხვდება ასევე მცირე ზომის კიდევ ერთი ქვაბულის უკანა კედლის კვეთილობა, რომელიც საერთო ჩამონგრევის შედეგადაა დაშლილი. კომლპექსის პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა დროისა და დანიშნულების კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები.

ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს მასშტაბურ კომპლექსთან, რომელიც კლდის ქარაფის სხვადასხვა არეზე მოიცავდა გამოქვაბულთა ჯგუფებს, ხოლო მის თავზე აგებული იყო ციხე. არსებული მონაცემების მიხედვით ვერ მოხერხდება ვერც ციხის დათარიღება (რამდენადაც მისი კვალი თითქმის სრულადაა გამქრალი) და ვერც ქვაბულთა კომპლექსების. საჭირო დამატებითი კვლევები, რათა გამოიკვეთოს ძეგლის სამშენებლო სტრატიგრაფიის ზოგადი კონტური მაინც. ფუნქციური თვალსაზრისით შედარებით უფრო მეტის თქმა შეიძლება უშუალოდ გამოქვაბული კომპლექსის შესახებ - ვფიქრობთ, რომ კლდის ცენტრში ეკლესიის და მისი შემადგენელი ჯგუფის დომინირება ნათელია, ამდენად საქმე უნდა გვქონდეს

სამონასტრო სივრცესთან. ამ მოსაზრებას ისიც შეიძლება ამყარებდეს, რომ თითქმის ყველა დამოუკიდებელი თუ ერთიანი ჯგუფის ქვაბი შეიცავს ჯვრების გამოსახულებებს კედლებზე. დამატებითი კვლევების გარეშე, არსებული რეალობა ისე წარმოგვიდგება, რომ ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა ტაძარს და მის დამატებით სათავსებს, ხოლო კლდის ქარაფის სხვადასხვა არეზე განთავსებული იყო სენაკები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსები.

კლდეში ნაკვეთი მღვიმეები და ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. მონასტრის საერთო ხედი

ფოტო 2. გამოქვაბულები კლდის პირზე

ფოტო 3. საკურთხევლის აფსიდი

ფოტო 4. კლდეში ნაკვეთი სათავსი

ფოტო 5. ჯვრის გამოსახულებები

ფოტო 6. სომხურენოვანი წარწერის ფრაგმენტი

ფოტო 7, 8. კერამიკის ფრაგმენტები კომპლექსის პერიმეტრზე

არუჩაქრაგი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი არუჩაქრაგი, თანამედროვე ალიჩეირეკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aliçeyrek, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან სამხრეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალი მთების კლდოვან პირზე განირჩევა ორი გამოქვაბულის ნაწილი (40°01'38.40"N 42°18'12.02"E). სოფელში შემავალი გზის პირას, მარჯვენა მხარეს, კლდის პირზე, მის ქვედა მონაკვეთში სადღეისოდ ფიქსირდება მხოლოდ ორი ქვაბულის ნაწილები, რომელთა საპირე არე ჩამოშლილი ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ კლდოვანი ქანები ძლიერი და ნაკლებად შლადია, როგორც ჩანს დროის გარკვეულ მონაკვეთში მაინც მომხდარა, კლდის პირის ქანების ერთიანი ჩამოშლა, რამაც ნათლად გამოაჩინა თავდაპირველად დაფარული ქვაბულები. საფიქრებელია, რომ დღემდე შემორჩენილი ორი ქვაბის გარდა, უნდა არსებულიყო სხვა სათავსებიც, რომლებიც ერთიანად ჩამოშლილ კლდოვან მასას შეეწირა. წარმოდგენილი ნაკაფი სათავსებიდან ორივე თითქმის სანახევროდაა შემორჩენილი - რეალურად იკითხება ქვაბულთა შიდა, ზურგის ნაწილები და ნაწილობრივ გვერდითი კედლების მცირე ფრაგმენტები.

შემორჩენილი, კლდეში ნაკვეთი სათავსები სხვადასხვა ზომის და გეგმარებისაა, თუმცა ორივე მათგანი მართკუთხა მოხაზულობას უახლოვდება. ისინი დაახლოებით ერთ სიმაღლეზეა განთავსებული და ერთმანეთისგან 1-1.5 მეტრითაა დაშორებული. მარჯვენა ქვაბული, პირობითად უფრო დიდი, შედარებით ქვემოთაა განთავსებული და მკვეთრად მართკუთხა გეგმარებისაა, ხოლო მცირე სათავსი, რომელიც მისგან მარცხენა ზედა კუთხეშია ნაკაფი, შიდა მხრიდან კედლის სიბრტყე რკალისებურადაა შეზნექილი და ორჯერ უფრო დაბალია. განთავსების, გეგმარების, მათი ზომების, ურთიერთმიმართებისა და კვეთის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემული სათავსები თავდაპირველად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა დაკარგული მონაკვეთის გამო კავშირის რა ფორმა არსებობდა არ ჩანს. ზედა, მცირე სათავსი არ შეიცავს რაიმე არქიტექტურულ ფორმასა თუ ელემენტს, განსხვავებით დიდი ზომის ქვაბულისგან, სადაც წარმოდგენილია მოწესრიგებული, კარგად გააზრებული არქიტექტურული სივრცე. სათავსის სიგრძე-სიმაღლის და სიღრმის ზომები დაახლოებით 3x2.2x2 მეტრია, რაც ნათლად აჩვენებს, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ მოზრდილ, მნიშვნელოვან ქვაბულთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ სათავსი მართკუთხა გეგმარებისაა და წაგრძელებულია სიგანეზე, ხოლო მისი ზურგის არე მოსაზღვრულია მართკუთხავე კვეთის ორსაფეხუროვანი მოჩარჩოებით. აღნიშნული არქიტექტურული ელემენტით სათავსის გაფორმება გვაძლევს ზურგის კედლის დასრულებულ სახეს - ის მთელ კედელს შემოუყვება და მოსაზღვრავს მას სამი მხრიდან. ქვედა ნაწილი, ასევე დაზიანების გამო არ იკითხება. სწორედ ამ დამუშავებული კედლის სიბრტყეზე იკითხება, უთუოდ ძეგლის მოქმედების დროინდელი, მცირე ზომის ჯვრების გამოსახულებები. ჯვრების ფორმები, ზომები და კვეთის სიღრმეები განსხვავებულია, თუმცა მათი უმეტესობა მარტივი პროფილირებისაა და წარმოდგენილია მაღალი ვერტიკალური და მოკლე ჰორიზონტალური მკლავების სახით. გვხვდება ტოლმკლავა ჯვრების უპრიმიტიულესი ფორმებიც. უმეტეს შემთხვევაში მკლავების ბოლოები დამატებითი ჩანაკვეთებითაა გაფართოებული, ხოლო ზოგან ჯვრის ქვედა მკლავზე ერთსაფეხუროვანი ბაზისია მოცემული, რაც ე. წ. გოლგოთის ჯვრის ასოცოაციას აჩენს. მოცემული გამოსახულებების დიდი ნაწილი კლიმატური ზემოქმედებით დაზიანებულია - მცირე ჯვრები გამოქარულია, თუმცა ამასთანავე გვხვდება ადამიანური ზემოქმედების კვალიც. სავარაუდოდ განძის მაძიებელთა მიერ დათხრილია კედლის სხვადასხვა მონაკვეთი, რამაც ასევე შეიწირა ჯვრის გამოსახულებათა ნაწილი.

საყურადღებოა, რომ დაზიანებათა მიუხედავად ქვაბულის მარჯვენა კედელზე, მის ქვედა მონაკვეთზე აღიქმება რამდენიმე სომხური გრაფემა. წარწერები სავარაუდოდ ორ რეგისტრად უნდა წავიკითხოთ, საიდანაც ზედა რეგისტრი მოიცავს მინიმუმ სამ, ხოლო ქვედა ორ გრაფემას შეიცავს - აქედან ზედაზე წარმოდგენილია ქარაგმის ნიშანი. დაზიანებათა გამო მათი შინაარის ამოკითხვა ვერ ხერხდება.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, დაფიქსირებულია თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 144-145), სადაც ასევე მოყვანილია ჩვენ მიერ აღწერილი ორი გამოქვაბულის გარდა სხვა გამოქვაბულები და ქვაბოვანი ეკლესია, რომელიც ექსპედიციის დროს ვერ ვნახეთ. ლიტერატურაში დამოწმებული ქვაბოვანი ეკლესიისა და ჩვენ მიერ დაფიქსირებული და აღწერილი გამოქვაბულების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ განხილული ქვაბოვანი კომპლექსი მონასტერი იყო.

ფოტო 1. კომპლექსის საერთო ხედი

ფოტო 2. კლდეში ნაკვეთი სათავსის ფრაგმენტი

ფოტო 3, 4. კლდეში ნაკვეთი სათავსების ფრაგმენტები

ფოტო 5, 6. საერთო ხედი გამოქვაბულებებისა (წყარო: Özgül 2011: 256, ფოტო 133-134)

ფოტო 7, 8. ეკლესია, ხედი აღმოსავლეთით და დასავლეთით (წყარო: Özgül 2011: 258-259, ფოტო 138-139)

აღულლუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აღულლუ, თანამედროვე აღილლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ağıllı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალი მთის თავზე, ზღვის დონიდან 2400 მეტრზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (39°53’05.76“N 42°23’58.00“E), რომლის ადგილზე შესწავლა და ფიქსაციაც ვერ მოხერხდა. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს მოცემულ ლოკაციაზე ციხის არსებობას, თუმცა უარი განგვიცხადეს ტერიტორიაზე მისასვლელი გზის ჩვენებაზე. შავი არქეოლოგიის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე ადგილობრივები ერთმანეთსაც კი არ ენდობიან. რამდენიმე მოსახლემ კეთილი რჩევით გვთხოვა, რომ ვიდრე მძიმე რეაქციას მივიღებდით სოფლის მაცხოვრებლებისგან გავრიდებოდით ტერიტორიას.

ამდენად, ნაგებობის ადგილზე შესწავლა შეუძლებელი გახდა. ჩვენ მხოლოდ მოვახდინეთ შორი დისტანციიდან რამდენიმე ფოტოს გადაღება, რაც ასევე ნათლად ასახავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მშრალი წყობის, საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობასთან. არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესაა დიდი ზომის, ოვალური გეგმარების ნაგებობა, რომლის სამშენებლო მასალადაც გამოყენებულია მოზრდილი ლოდები, რომლებიც ერთმანეთზე მშრალი წესით, დუღაბის გარეშეა ნაწყობი. ამასთანავე განირჩევა მთის თავზე, ერთგვარ ციტადელად, წარმოდგენილი ციხის ნაშთები, რომელსაც მთელ პერიმეტრზე შემოსდევს გალავანი. ამ უკანასკნელისგან დარჩენილია მხოლოდ მცირე მონაკვეთები, თუმმცა შორიდან დაკვირვება მეტი სიცხადით აღქმის საშუალებას არ იძლევა - დიდია იმისი შესაძლებლობა, რომ მოცემული ფრაგმენტებიც და თავად ციტადელიც, ბევრად უფრო ფართო მასშტაბის მშენებლობას მოიცავს. ციტადელის ციხის ნაშთები შეიცავს საშუალო და დიდი ზომის ქვის სამშენებლო მასალის ნაშთებს, რომლებიც დაახლოებით იმ პერიმეტრზეა მიმოფანტულ-ჩაშლილი, სადაც კედლები იყო აღმართული. საყურადღებოა, რომ კედლის სტრუქტურებში ჩანს თხელი ქვის ფილები, რომლებიც წყობის სრულებით განსხვავებულ სახეს ქმნის ხოლმე. ამგვარი სამშენებლო მასალების გამოყენების შემთხვევებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ე.წ. თევზისფხისებრ წყობებს, სადაც ქვების ჰორიზონტალური რიგების დაცვით კედლები ისეა ნაგები, რომ ყოველ მომდევნო რიგში „ფილები“ დიაგონალურად, ერთმანეთის შეპირისპირებით არის დაწყობილი.

ძეგლის ადგილზე შესწავლისა და მისი დეტალური ფიქსაციის გარეშე შეუძლებელია მსჯელობა, როგორც მის კონკრეტულ გეგმარებაზე ისე, ნაგებობის დათარიღებაზე.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობების მდებარეობა (Google Earth)

ფოტო 2, 3. ნაგებობის საერთო ხედი

ბედრევანქი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ბედრევანქი, თანამედროვე იურუქათლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yürükatlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთაზე, ზღვის დონიდან 2055 მეტრზე, მდებარეობს ბედრევანქის მეგალითური ციხის ნაშთები (40°05'51.29"N 41°58'48.41"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კალეჯიკის სახელით მოიხსენიებს. ნაგებობა განთავსებულია საძოვრების ტერიტორიაზე, ერთ-ერთი მთის თავზე არსებულ მოსწორებულ ბაქანზე. ძეგლი არსებული კედლების ფრაგმენტების მიხედვით საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო. მისი დაახლოებითი სიგრძე, სადღეისოდ შემორჩენილი მასალის გათვალისწინებით 130 მეტრამდე, ხოლო სიგანე 100 მერტამდე აღწევს. აღსანიშნავია, რომ ნაგებობა განთავსებულია მთის თავზე და მისი გეგმარება თითქმის სრულად იმეორებს მთის/ქედის კონტურს. შემორჩენილი გალავნის ნაშთების მიხედვით დგინდება, რომ ძეგლის გეგმარების ძირითადი მახასიათებელია ბუნებრივ რელიეფთან შესაბამისობა, რომელიც ოვალურ ფორმას ღებულობს.

საყურადღებოა უშუალოდ შემორჩენილი ფრაგმენტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ნაგებობის ზოგადი სახის წარმოდგენა. უმთავრესი ნაწილი, რომელიც ძლიერი დაზიანების მიუხედავად იკითხება, ციტადელის ძირითადი ნაგებობის მასიური, მძლავრი კედლებია, რომელთა ვერტიკალური წყობა მორღვეულია და ჩანს მხოლოდ წყობის ორი-სამი ფენა. საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვების წყობით შედგენილია კომპლექსის ციტადელზე არსებული მშენებლობის ძირითადი კედლების შიდა და გარე ფასადები, რომელთა შორის არსებული არეც შევსებული იყო შედარებით მცირე ზომის ქვა-ღორღით. კედლები საკმაოდ მძლავრია - მისი სისქე დაახლოებით 3 მეტრამდე აღწევს. აქვე აღსანიშნავია, რომ გალავნის კედლის წყობის სხვადასხვა მონაკვეთზე გვხვდება წრიული გეგმარების მცირე სათავს-ღრმულები, რომელთა ზუსტი დანიშნულება უცნობია. გარდა ამისა, ციტადელის პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა ზომის, ფორმისა და გეგმარების ნაგებობათა კვალი, რომლებიც სადღეისოდ ნანგრევებადაა ქცეული და ნაწილობრივ მიწითაა დაფარული.

ძეგლის ბუნებრივი გარემოდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ ის ერთ მხარეს კლდოვან შვერილს მოიცავს, ხოლო ციტადელის ტერიტორია, სიმაღლის მიხედვით, ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ერთი, შედარებით მაღალი მონაკვეთი კლდის მხარესაა და მცირე მოცულობისაა, ხოლო ქვედა არე ფართოდაა გაშლილი. ნაგებობათა ნაშთები, გარდა გალავნის კედლებისა, განირჩევა როგორც ციტადელის ზედა, ისე მის ქვედა ტერასებზე. განსაკუთრებული კონცენტრაცია კედლების ჩამოშლილი ქვებისა მაინც ზედა მონაკვეთზე განირჩევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ რაიმე განსაკუთრებულად მაღალი და მძლავრი ნაგებობა უნდა მდგარიყო. ნიადაგი, რომელზეც განაშენიანებაა დაფუძნებული, კლდოვანია. სწორედ ამის გამო, ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთზე გვხვდება უშუალოდ კლდოვან ქანებზე დაშენებული კედლები. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე, მთლიანი კომპლექსის გათვალისწინებით, დაახლოებით 2-2.5 მეტრს შორის მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ მთის ზედა მონაკვეთამდე, ერთგვარ ციტადელამდე, გვხვდება ქვედა ციხე, რომელიც ტერასულადაა გაშლილი. რელიეფის ამ მონაკვეთზე განირჩევა შედარებით მცირე ზომის ქვის წყობის ნაწილები, რომელთა საერთო კონტური აღარ აღიქმება. სავარაუდოა, რომ წყობის ეს ნაშთები მართლაც ციტადელის მომსაზღვრელი კედელი ყოფილიყო, რომელიც მთის ფერდზე ერთგვარ ტერასადაა განთავსებული. საერთო სახით ნაგებობის მთლიანი სურათის აღდგენა ვერც ხერხდება, თუმცა ჩანს, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ სიმაგრესთან. ძეგლის კულტურული ფენები დაზიანებულია განძის მაძიებელთა მიერ, რომელთაც ადგილ-ადგილ ამოღებული აქვს საკმაოდ დიდი ზომის ორმოები. ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთზე ჩანს განსხვავებული ზომის ფრაგმენტები კერამიკული ნაწარმისა, რომელთა უმეტესობა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა უნდა იყოს.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

მეგალითური ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 8, 9. კერამიკის ფრაგმენტები ციხის პერიმეტრზე

გეჯიკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი გეჯიკი, თანამედროვე ილდირანი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yıldıran, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთებზე, ზღვის დონიდან 2175 და 2200 მეტრზე, ერთმანეთის გვერდით განთავსებულია ორი მშრალი წყობის ნაგებობა. მაღალი, კლდოვანი მთები ერთმანეთის გვერდით მდებარეობს და მათ შორის მანძილი დაახლოებით 300 მეტრია. ორივე მთის წინა მხარეს კლდოვანი ქარაფებია, ხოლო ზურგის არე შედარებით დაბალი და იოლად მისასვლელი რელიეფით ხასიათდება.

ფოტო 1. ნაგებობების მდებარეობა (Google Earth)

ძეგლებს პირობითი დაყოფით ჩვენ მოვიხსენიებთ მარჯვენა და მარცხენა, მშრალი წყობის ნაგებობად. პირველი, მარჯვენა მშრალი წყობის ნაგებობა თითქმის ბოლომდეა განადგურებული (40°04'08.44"N 41°55'49.03"E). ჩამოშლილია კედლების სტრუქტურები და ზოგან მათი კვალი საერთოდ არ იკითხება. გვხვდება მხოლოდ ფრაგმენტები ადგილ-ადგილ, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის უზოგადესი გეგმარებითი სტრუქტურის წარმოდგენა. ნაგებობის გეგმა ნაწილობრივ მორგებულია რელიეფის ფორმას, როგორც ხდება ხოლმე ამ ტიპის ძეგლების უმეტესობაში, ხოლო ზურგის მხრიდან ის მოსაზღვრავს გარკვეულ არეალს, ერთგვაროვანი, სწორი ზედაპირის ნიშნულს. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის წინა მხარეს კლდოვანი მასივია და დაცულობის ხარისხი მაღალია, ხოლო უკანა ნაწილით ის ღიაა მომხდური მტრისთვის. ამიტომ, ნაგებობის აღნიშნულ მონაკვეთზე შედარებით უკეთ განირჩევა წყობების კვალი და დაშლილი კედლების ფრაგმენტები. ამ შემთხვევაში ჩანს მხოლოდ მცირე კედლები, რომელთა საშუალო სიმაღლე დაახლოებით 0.7-1 მეტრია. კედლები ნაგებია მშრალი წყობით, ხოლო სამშენებლო მასალად გამოყენებულია საშუალო ზომის ქვები. გალავნის კედლის გარე და შიდა პირი გასწორებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ შორის არე ამოვსებულია ქვა-ღორღით. აღნიშნული კედლების სისქე დაახლოებით 2.5 მეტრია. ბორცვის ზედაპირზე ნათლად განირჩევა შენობის გეგმის მოხაზულობა - ესაა ოვალური მოხაზულობის საშუალო ზომის ნაგებობა. მისი სიგრძე დაახლოებით 90-100 მეტრია, ხოლო სიგანე 70-80 მეტრს უახლოვდება. ნაგებობის ერთ მხარეს ნათლად განირჩევა დაახლოებით 3 მეტრის სიგანის შესასვლელი, თუმცა მისი სტრუქტურა მორღვეულია. მოცემულ მონაკვეთზე გალავნის წყობა მორღვეულია, რაც მიუთითებს ამ ადგილზე კარის არსებობას. კომპლექსის შიდა ტერიტორიაზე განირჩევა სხვადასხვა დანიშნულების, ზომის, ფორმისა და გეგმარების ნაგებობათა კვალი, რომელთა დანიშნულებაც ჩვენთვის უცნობია.

ფოტო 2. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 3. ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტო 4, 5. ნაგებობის ფრაგმენტები

მარცხენა მხარეს არსებული მშრალი წყობის ნაგებობა შედარებით უფრო მაღლა მდებარეობს, თუმცა გაცილებით ნაკლები დაცულობით ხასიათდება (40°04'1.29"N 41°55'39.98"E). ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ოვალური მოხაზულობის მქონე მოზრდილ ნაგებობასთან. მისი სიგრძე დაახლოებით 120 მეტრია, ხოლო სიგანე 100 მეტრამდე აღწევს. ამ შემთხვევაში მხოლოდ მცირე ფრაგმენტები განირჩევა ნაგებობის გალავნისა, თუმცა ჩანს მისი ზოგადი კონტური. საფიქრებელია, რომ აღნიშნული შენობები თანადროულად ფუნქციონირებდა და სამშენებლო ტექნიკის, არქიტექტურული სახის თუ ზოგადგეგმარებითი პრინციპების მიხედვით, ურთიერთმსგავსი უნდა ყოფილიყო. მარცხენა მშრალი წყობის ნაგებობის ერთი მხარე ასევე ბუნებრივი, კლდოვანი მასივითაა დაცული, ხოლო ზურგის არე ამ შემთხვევაშიც ღიაა. შესაბამისად მოცემულ მონაკვეთებზე მეტად განირჩევა შენობათა კვალი. კომპლექსის შიდა ტერიტორიაზე სხვა შენობათა ნაშთები არ ჩანს, თუმცა ცხადია, რომ ისინი უდაოდ იქნებოდა. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა, ორივე ძეგლის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შავი არქეოლოგიის ზიანი. განძის მაძიებელთა თხრილები მნიშვნელოვანწილად აზიანებს ძეგლთა კულტურულ ფენებს.

ფოტო 6. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 7. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 8. ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტო 9. გალავნის ფრაგმენტები

ნაგებობათა განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლების მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ნაგებობები მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი ციხეებად იხსენიებს.

დელიბაბა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი დელიბაბა, თანამედროვე არასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მთის თხემზე, ზღვის დონიდან 1690 მეტრზე (39°58'49.75"N 42°18'09.43"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Günaşdı, Üngör, Ceylan 2020: 665), ციხის სიგრძე 36 მეტრია. ციხის პერიმეტრზე შეიმჩნევა ნაგებობათა კვალი. მათი ნაწილი ჩაქცეულია, ნაწილი კი განძის მაძიებელთა მიერ არის გადათხრილი და განადგურებული. ციხის დასავლეთ დაფერდებაზე არსებული ნაგებობები სამარხები და ნამოსახლარები უნდა იყოს. ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა კერამიკა, რომელიც ადრე და შუა რკინის ხანას განეკუთვნება. თურქულ ლიტერატურაში ციხე მოხსენიებულია არასის სახელით.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი (წყარო: Günaşdı, Üngör, Ceylan 2020: 675, ფოტო 5)

დელიბაბა, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი დელიბაბა, თანამედროვე არასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა სოფლის ცენტრში, სკოლის სიახლოვეს მდებარეობს და წარმოადგენს თურბეს (39°59'20.36"N 42°18'28.09"E). შენობა კუბური ფორმისაა და ნახევარკონუსური ფორმის გუმბათით სრულდება, რაც აღნიშნული ტიპის ნაგებობათათვის კლასიკურ გადაწყვეტას გვთავაზობს. ნაგებობა საშუალო ზომისაა. მისი კვადრატული საფუძვლის კედლების ზომები დაახლოებით 4-4.5 მეტრია. ამავე კვადრატული სივრცის კედელთა სიმაღლე ექსტერიერში დაახლოებით 1.5 მერტია, თუმცა ინტერიერში შედარებით მაღალია, რადგან ერთი საფეხურით ქვემოთაა იატაკი განთავსებული. შენობა ნაგებია სხვადასხვა შეფერილობის კარგად დამუშავებული კვადრებით. ფერადოვანი გადაწყვეტა ქვის წყობისა განსაკუთრებით მეტყველს ხდის შენობის საფასადო კედლებს და აცოცხლებს მის იერ-სახეს. ნაგებობას აქვს მხოლოდ ერთი სარკმელი, რომელიც აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი და ერთი კარი ჩრდილოეთით. კარი მარტივი, მართკუთხა მოყვანილობისაა, ხოლო სარკმლის თავსართი არე შეისრული სახითაა გამოყვანილი. მცირე ზომის სარკმელი ინტერიერში საკმაოდ ფართო განშლითაა წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს შიდა სივრცის კარგ განათებას. მნიშვნელოვანია, რომ ნაგებობის კვადრატული საფუძველი მარტივი პროფილირების თარო-კარნიზითაა გაფორმებული. პროპორციული თვალსაზრისით თვალშისაცემია შენობის ძირითადი კორპუსისა და გუმბათოვანი ნაწილის ურთიერთმიმართება, სადაც აშკარა თანაფარდობასთან გვაქვს საქმე. გუმბათისა და ძირითადი კვადრატული სივრცის სიმაღლე თითქმის თანაბარია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გუმბათის მხატვრულ ეფექტსა და ხაზს უსვამს მის დომინანტურ მნიშვნელობას.

შენობის ერთადერთი, ჩრდილოეთი შესასვლელი მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე აქტიურია. დაბალი და მცირე ზომის შესასვლელის თავზე განთავსებულია საკმაოდ მოზრდილი, ერთიანი არქიტრავი, ხოლო ამ უკანასკნელის თავზე მოცემულია წითელი ფერის ქვა, რომელიც შემკულია არაბულენოვანი წარწერებით. წარწერები ოთხ ძირითად სტრიქონადაა განთავსებული და მოქცეულია ჰორიზონტალურ, გეომეტრიული მოტივებით გაფორმებულ, არშიებში. ოთხსტრიქონიანი, დიდი ზომის წარწერის თავზე მოცემულია, ცენტრში განთავსებული, მცირე ზომის რამდენიმე გრაფემა. აღნიშნული წარწერების წაკითხვა არ განხორციელებულა, თუმცა დაცულობის თვალსაზრისით არ გვხვდება პრობლემები. აღნიშნული წარწერიანი ქვის თავზე მოცემულია ნახევარწრიული თავსართი, რომელიც მოსაზღვრავს ამ უკანასკნელს და ამავდროულად ჩართულია კარნიზის სისტემაში. ფორმის თვალსაზრისით მოცემული თაღოვანი ელემენტი აგრძელებს ნაგებობის კარნიზის ქვების მოხაზულობას და დეკორატიულ თაღად შემოევლება კარის სათაურ ნაწილს. გარდა წარწერიანი ქვისა, ხსენებული თაღოვანი არე მოიცავს მცირე ზომის „ტიმპანს“, რომელზეც ნაგებობის მხატვრული გაფორმების ერთადერთი კვეთილი ნაწილია წარმოდგენილი. „ტიმპანის“ ქვის ცენტრში წარმოდგენილია ვარსკვლავის გამოსახულება, რომელიც წრეშია მოქცეული, ხოლო მის ორივე მხარეს ნაკვეთია ხმალი, რომლის პირი ბოლოსკენ მკვეთრად იღუნება (ამ ტიპის თურქულ ხმალს ქართულად „ყილიჯი“ ჰქვია).

შენობის ინტერიერი მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით სრულებით განსხვავებული ეფექტის მატარებელია, რადგან აქ კედლები სრულადაა შელესილი. ნაგებობას ინტერიერში შემოუყვება მცირე ზომის ბაზისი. არსებითად მნიშვნელოვანი გახლავთ უშუალოდ დასაკრძალავი ნაწილები, რომლებიც შენობის კიდურა მონაკვეთებშია მოქცეული. ჩრდილოეთიდან შესულს გვხვდება ორი, აღმოსავლეთითა და დასავლეთით განთავსებული, სამარხი. მათი ზომები, პროპორციები და ფორმები თითქმის ერთგვაროვანია - ეს წარმოადგენს ერთიან, გრძელ საფლავის ქვებს, რომელთა შვერილი ნაწილები სამკუთხა სიბრტყეებად ყალიბდება და მოაგავს ტაძრის ნავის გადახურვის ფორმას, მის ზედა ნაწილს. სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია არის თუ არა ეს საფლავები გაფორმებული რაიმე მხატვრული დამუშავების ელემენტებით, რადგან, ტრადიციის გათვალისწინებით, ისინი წარწერებიანი და გამოსახულებებიანი ქსოვილებითაა დაფარული.

ნაგებობა ნაწილობრივ დაზიანებულია, თუმცა საერთო სახე და პროპორციები სრულებით აქვს შენარჩუნებული. საფასადო ნაწილებზე განირჩევა გვიანი შელესილობის ფრაგმენტები ისევე, როგორც

ინტერიერში. გარდა ამისა, გვხვდება გუმბათზე და კვადრატული სივრცის კუთხოვან არეებზე ამოსული მცენარეები.

აღსანიშნავია, რომ დელიბაბას სახელითაა ცნობილი ერთ-ერთი ურარტული წარწერა, რომელიც მდებარეობდა სოფელ კალბულასთან (იხ. „კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა“).

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. არაბულენოვანი წარწერა კარის თავზე

ვანასორი, ციხე (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი ვანასორი, თანამედროვე ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Horasan İlçesi, Erzurum İli). ნასოფლარი ვანასორი მდებარეობს თანამედროვე სოფელ დონერტაშიდან (Dönertaş) ჩრდილოეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით. სოფელი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და ადგილობრივი მოსახლეობა გადასახლდა სხვა ადგილას.

ნასოფლარის ტერიტორიაზე, მაღალი, კლდოვანი მასივის თავზე, ზღვის დონიდან 2150 მეტრზე, ადგილობრივი გამყოლი მიუთითებს ციხის არსებობას (40°14'18.88"N 42°08'31.82"E), თუმცა ადგილზე მკვეთრად გამოხატული წყობის ნაწილები არ იკითხება. სოფელი ვანასორი სწორედ ამ მთის ქვეშ იყო განთავსებული (40°14'12.07"N 42°08'29.91"E). იმის გამო, რომ კდლოვანი მასა ადვილად შლადი ქანებისგან შედგება, მიწისძვრის დროს მომწყდარია მისი დიდი ნაწილები. ერთ-ერთი ძლიერი მიწისწვრის დროს კი განადგურდა სოფელი. მთის ძირას კარგად განირჩევა ძველი საცხოვრისების კვალი - ჩანს თითქმის ყველა ნაგებობა გეგმის დონეზე, ხოლო ნაწილის შემთხვევაში კედლებიც საკმაო სიმაღლითაა შემორჩენილი. არსებული მასალის მიხედვით, ქვის წყობის, სამშენებლო მასალის, სათავსთა გეგმარებისა თუ სხვა დეტალების გათვალისწინებით, არსებული საცხოვრისები დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგისა უნდა იყოს, თუმცა არაა გამორიცხული უფრო ადრეული შრეების არსებობაც - როგორც წესი სოფლები, საცხოვრისები მრავალშრიანი და მუდმივგანახლებადი არქიტექტურული ნაწილებია.

უშუალოდ ნაციხვარის ტერიტორიაზე, მაღალი მთის თხემზე, კლდოვანი მასივების მიდამოებში განირჩევა მცირე ზომის ყორე-ქვის არეული წყობები. თხემის ირგვლივ, სხვადასხვა მონაკვეთზე იკითხება ყორე-ქვის ნაშალი ნაწილები, რაც შესაძლოა განვიხილოთ ციტადელის გალავნის ნაწილებად, თუმცა საამისოდაც არ გაგვაჩნია საკმარისი მასალა. თავისთავად მთის გეოგრაფიული გარემო, მისი ბუნებრივი მოცემულობა, აშკარად სტრატეგიული მნიშვნელობისა იქნებოდა, თუმცა კლდოვან მასებზე არავითარი კვალი არ იკითხება. ერთადერთი მანიშნებელი აღნიშნულ ტერიტორიაზე გამაგრებული პუნქტის, თავდაცვითი ნაგებობის, შესაძლოა არსებობაზე მთის თხემის პერიმეტრზე, ადგილ-ადგილ წარმოდგენილი ნაშალი ქვის სტრუქტურებია, რომლებიც ბუნებრივი სახით ვერ წარმოიქმნებოდა, მაგრამ თავისი მასშტაბით არც ისეთი მძლავრი და მასშტაბურია, რომ ციხის ფრაგმენტებად მივიჩნიოთ. ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე განირჩევა განძის მაძიებელთა კვალი - გადათხრილი მიწის ნაწილები, ღრმულები და დამტვრეული კლდოვანი ქანები.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის (?) და ნასოფლარის მდებარეობა (Google Earth)

ფოტო 2. ციხის (?) საეთო ხედი

ფოტო 3. ციხის (?) ტერიტორია

ფოტო 4, 5. ციხის (?) ტერიტორია

ფოტო 6, 7. ნასოფლარის საერთო ხედები

თავშანჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი თავშანჯიკი, თანამედროვე თავშანჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Tavşancık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

გამოქვაბულთა საკმაოდ მასშტაბური კომპლექსი განთავსებულია ჰორასანის რეგიონის აღმოსავლეთ კიდეში, სასაზღვრო პერიმეტრზე, სოფელ თავშანჯიკის აღმოსავლეთით 2 კილომეტრის მოშორებით (40°06'35.67"N 42°23'54.31"E). ცენტრალური გზის პირას, გზიდან 10-15 მეტრის მოშორებით, კლდეში ნაკვეთია რამდენიმე იარუსად დანაწევრებული კომპლექსი. მისი წინა არე, ძლიერი დაზიანების გამო, ჩამოშლილი და დაკარგულია.

არსებული მონაცემებით იკითხება კომპლექსის შემადგენელი მინიმუმ ორი სართული, საიდანაც ქვედა იარუსი დაშლილ-დანაწევრებულია, ხოლო ზედა სართულზე არსებული ნაწილი კლდის სიღრმეში საკმაოდ ღრმად იშლება. აღსანიშნავია, რომ კლდის პირზე დარჩენილი, ნაწილობრივ ჩამოშლილი, სათავსების გარდა, მასივის სიღრმეში ვითარდება უზარმაზარი სივრცე.

კლდის პირზე აღინიშნება რამდენიმე სათავსი. მათი ზომები, ფორმები და დანიშნულება განსხვავებულია, თუმცა დაზიანების გამო მათი სრული სახით წარმოდგენა ძალიან რთულდება. გვხვდება ისეთი სათავსები, სადაც პირველი და მეორე სართულები ერთმანეთს უკავშირდება წრიული ხვრელების საშუალებით. ამავე მონაკვეთზე იკითხება კიბის უჯრედები, კლდეში ნაკვეთი ქვევრები, გამოქვაბულთა სივრცეში არსებული მცირე ნიშები, თაროები, დასაჯდომი შვერილობები და ა.შ. აღნიშნულ მონაკვეთზე, საერთო ჯამში დაახლოები 20-მდე ქვაბია შემორჩენილი - გარდამავალი დაცულობით.

კომპლექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, მეორე იარუსზე არსებული, გრანდიოზული სივრცე, რომელიც კლდოვანი მასივის სიღრმეშია განვითარებული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვხვდება ერთი, გრძელი „დერეფანი“, რომლის ორივე მხარესაც, ერთმანეთის პარალელურად, წარმოდგენილია განშტოებები. „დერეფნის“ სიღრმეში განვითარების პარალელურად, მის ორ მხარეს, თანაბარი მანძილით გვხვდება დამატებითი სათავსები. ესაა ერთგვარი „ბაზილიკის“ პრინციპზე გამოკაფული სივრცე, რომელსაც გააჩნია ცენტრალური „ნავი“ და თაღებით უკავშირდება გვერდით სათავსებს. საერთო ჯამში ჩვენ გვხვდება ხუთ-ხუთი პარალელური გასასველი სათავსი, ცენტრალური ნავიდან. კლდეში ნაკვეთი კომპლექის სხვადასხვა დონეზე და მის პერიმეტრზე განირჩევა კერამიკის, მცირე ზომის, ფრაგმენტები. აღნიშნული არტეფაქტები ძირითად შემთხვევაში საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა.

კომპლექსის შემადგენლობაში არ იკითხება საკულტო დანიშნულების სათავსის კვალი. არაა გამორიცხული მისი არსებობა, თუმცა შემორჩენილ არეზე ამგვარი ნაწილები არ აღიქმება. სათავსთა გადაწყვეტით, არც სხვა დანიშნულების ქვაბების იდენტიფიცირება ხდება. ერთჯერადი დაკვირვებით ვერ ხერხდება კომპლექსის თუ ცალკეული სათავსების ფუნქციური თავისებურებების განსაზღვრა.

გარდა მოცემული კომპლექსისა, მიმდებარე პერიმეტრზე, დაახლოებით 5 კილომეტრის რადიუსზე კლდოვან ქანებზე განირჩევა სხვადასხვა ზომის, მასშტაბისა და დანიშნულების კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ფრაგმენტები.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. კლდეში ნაკვეთი კომპექსი

ფოტო 3, 4. კომპლექსის სათავსების ფრაგმენტები



ფოტო 5, 6. კლდეში ნაკვეთი კომპლესის მთავარი სივრცე



ფოტო 7, 8, 9. კომპლექსის ცალკეული სათავსები

ფოტო 10, 11. კერამიკის ფრაგმენტები კომპლექსის პერიმეტრიდან

იაზილიტაში, ციხე და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანის სოფელი იაზილიტაში, თანამედროვე იაზილიტაში, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yazılıtaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს უზარმაზარი კლდოვანი მთა, რომლის თავზეც, ზღვის დონიდან 2240 მეტრზე, მდებარეობს მშრალი წყობით ნაგები ციხე, ხოლო კლდის ძირში განთავსებულია ურარტული წარწერა (39°52'02.74"N 42°17'09.27"E). აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის ფარგლებში, ბუნებრივი რთული პირობების გამო ვერ მოხერხდა ციხის დეტალური ფიქსაცია. რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და ამინდის გათვალისწინებით შეუძლებელი აღმოჩნდა 2200 მეტრზე არსებული ციხის მონახულება, თუმცა დეტალურად იქნა ფიქსირებული კლდის ძირში არსებული ურარტული წარწერა, რომელიც გამოქვეყნებულია ურარტული ტექსტების კორპუსში (Salvini 2008: A 5-3). ლ. გორდეზიანის მიხედვით წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

„ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაუეხის, ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იშფუინის ძე; წინ უძღოდა (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრიე). მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა(მდე), ქალაქი უტუხაი ... მენუა ამბობს: უტუფურში, მეფე დიაუეხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე (მას) მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით, მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?), (რომლებიც) დაბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად. მენუა ამბობს: ... 2 მეფე მე იქიდან მოვაცილე: ბალთულხის ქვეყნის (მეფე) (და) ქალაქ ხალდირიულხის ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომლებიც კი იყო იმ) ქვეყანაში, მე იქიდან მოვგლიჯე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/შეიფარებს.“ (გორდეზიანი 2012: 90-92).

მნიშვნელოვანია, რომ თავად ეს უზარმაზარი, ძლიერ მასშტაბური და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთა, რომელიც უღელტეხილზეა განთავსებული, უძველესი ხანიდანვე იყო ათვისებული. მსგავსი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც ბუნებრივი გამაგრებითი სისტემით გამოირჩეოდნენ და იმავდროულად აკონტროლებდნენ მიდამო ხევებსა და ტერიტორიებს, ცხადია გამორჩეული ინტერესის საგანს წარმოადგენდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე შემოსევებისა და ომიანობის ჟამს - მტრისთვის. ციხე და ურარტული წარწერა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის და ურარტული წარწერის მდებარეობა (Google Earth)

ფოტო 2, 3. საერთო ხედები

ფოტო 4, 5. საერთო ხედები

ფოტო 6, 7. კლდეზე ნაკვეთი ურარტული წარწერა, საერთო ხედები

ფოტო 8. ურარტული წარწერა

იღირბიღირი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი იღირბიღირი, თანამედროვე იღირბიღირი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Iğırbığır, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 2.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთებში, ზღვის დონიდან 2280 და 2340 მეტრზე, მდებარეობს ნაგებობათა კომპლექსები, რომლებიც, მიუხედავად დიდი დაზიანებისა, საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. სამანქანო გზა სოფლიდან მიდის, თუმცა რთული რელიეფისა და ნიადაგის გამო საკმაოდ რთული მისასვლელია. ადგილობრივი მოსახლეობა მოცემულ ტერიტორიასა და აქ განთავსებულ მშრალი წყობის ნაგებობებს იღირბიღირის სახელით მოიხსენიებს.

მაღალ მთაში, სადაც ძირითადი გეოგრაფიული გარემოს მაფორმირებად კლდოვანი ქანები და მდინარე წარმოგვიდგება, რომელიც სოფელში ჩამავალ ხეობას წარმოქმნის, მაღალ კლდოვან მთებზე განთავსებულია მასშტაბური კომპლექსები. ძეგლები გაშენებულია ორ, ერთმანეთის გვერდით არსებულ მთაზე ისე, რომ მათ შორის მანძილი დაახლოებით 300 მეტრია. პირობითად ჩვენ მათ მარცხენა და მარჯვენა, დიდი და მცირე, მაღალი და დაბალი კომპლექსების სახელით მოვიხსენიებთ, რადგან ერთი მათგანი (მარჯვენა, რომელიც სოფლიდან ამომავალი გზიდან პირველი გვხვდება) შედარებით მცირე ზომისაა და სიმაღლითაც დაბალ დონეზე მდებარეობს, ხოლო მეორე მასშტაბით, სიმაღლით, მოცულობითა თუ დაცულობის ხარისხით ბევრად შთამბეჭდავია.

ფოტო 1. ნაგებობების მდებარეობა (Google Earth)

მარჯვენა ნაგებობა მდინარის პირას, მისგან დაახლოებით 50-60 მეტრის მოშორებით, მაღალი, კლდოვანი მთის ბორცვზე განთავსებულია უზარმაზარი მასშტაბის მშრალი წყობის ნანგრევები (39°59'29.27"N 42°30'30.19"E). აღსანიშნავია, რომ თავითსავად ძეგლის განთავსების გეოგრაფიული გარემო, მაღალი კლდოვანი მასა, რომელზეც აგებულია საფორტიფიკაციო სისტემა, მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს და ყოველთვის მიმზიდველი იქნებოდა თავდაცვითი სისტემისთვის. აქედან კონტროლდება ხეობაში შემავალი გზა, ხოლო თავისთავად კლდოვანი მასივი უზრუნველყოფდა მაღალი ხარისხის დაცულობას. სწორედ ამგვარ გარემოში, მარჯვენა მთის თხემზე განთავსებულია აღნიშნული ძეგლი. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, დაშლილია მისი კედლები, ხოლო სამშენებლო მასალა ყველა მხარესაა კლდოვან რელიეფზე ჩამოშლილი. მიუხედავად ამგვარი დაზიანებისა განირჩევა არსებითად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომელთა შეჯერებითაც შესაძლებელი ხდება ძეგლის ძირითადი

არქიტექტურული მახასიათებლების გამოკვეთა. ჩანს შენობის თავდაპირველი გეგმარების ძირითადი კედლები, რომელიც კლდოვანი ბაქანის ბუნებრივ განვითარებას შემოსდევს და არაწესიერი ოვალის ფორმას ღებულობს. დაახლოებით 150 მეტრის სიგრძისა და 120 მეტრის სიგანის მთის თხემი სრულად აქვს ათვისებული თავდაცვითი სისტემის ნაშთებს. ძირითადი კედლები, შენობის მომსაზღვრელი გალავანი ოვალური და ერთ მხარეს კლდოვან კიდეს მიუყვება, ხოლო ზურგის მონაკვეთზე მოსაზღვრავს ყველაზე მაღალი რელიეფის ბუნებრივ ნიშნულებს ისე, რომ გალავნის შიდა ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად თანაბარი ზედაპირით ხასიათდება. აქვე უნდა ითქვას, რომ შენობას ხეობის მხარეს კლდოვანი მასივი იცავს, ხოლო ზურგის არეზე შედარებით იოლი მისასვლელია. გალავნის, შენობის ძირითადი კედლები გარდამავალი დაცულობით ხასიათდება - მისი კედლების საშუალო სიმაღლე 2-2.5 მეტრია, ხოლო ზოგან უფრო მაღალ ნიშნულსაც აღწევს. ამავე გალავნის კედლის სისქე 3 მეტრამდეა, რაც ათვალსაჩინოებს სისტემის მდგრადობასა და სიმტკიცეს. კედლები დიდი და საშუალო ზომის, მცირედ დამუშავებული და ფორმამიცემული ქვებითაა ნაგები. საფასადო არე და ინტერიერის წყობა გასწორებულია და შედგენილია მოზრდილი ქვებისგან, ხოლო მათ შორის სივრცეები ამოვსებულია შედარებით მცირე ზომის ქვებითა და ფლეთილებით. ექსტერიერში, გალავნის სხვადასხვა მონაკვეთზე განირჩევა წყობის საკმაოდ კარგი დაცულობა, ხოლო რამდენიმე ადგილას ფიქსირდება მცირე შესასვლელები, რომლებიც შედგენილია ორ ვერტიკალურ ქვაზე გადებული მასიური არქიტრავით. გარდა ამისა საყურადღებოა თავად კომპლექსის ინტერიერი, სადაც მრავლად განირჩევა ნაგებობათა კვალი. ზოგიერთ შემთხვევაში იკითხება გეგმარება, ხოლო ზოგან მხოლოდ კედელთა სასაძირკვლე კედლების ნათშებიღა აღიქმება. ჩანს, რომ ძირითად კედლებზე კომპლექსის შიდა მხრიდან მიდგმული იყო მართკუთხა გეგმარების შენობები, რომელიც ერთმანეთის გვერდითაა მიჯრით განთავსებული. მათი ზომები და მოცულობები განსხვავებულია, თუმცა განთავსების პრინციპითა და გადანაწილებით ურთიერთმსგავსია. ნაგებობის შიდა მონაკვეთზე, შუა წერტილსა თუ სხვადასხვა არეზე განირჩევა საკმაოდ მაღალი დაცულობის კედლების კვალი, რომელთა სისტემური სახე არ ჩანს და შესაბამისად ძნელია მათ ფუნქციურ დატვირთვაზე საუბარი. ცხადია, რომ ნაგებობის შიდა ტერიტორიაზე ჩვენ რამდენიმე უბანთან გვაქვს საქმე, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთს კედლებითაც ემიჯნებოდა. აშკარაა ისიც, რომ შიდა მონაკვეთის ბუნებრივი განვითარების მიხედვით, ერთგვარ ტერასულობას მიყოლებულია განაშენიანება და გვხვდება, როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილები. განსაკუთრებით აქტიურია მოცემულ ძეგლზე განძის მაძიებელთა მიერ დაქანებული კულტურული ფენების სიუხვე. გვხვდება რამდენიმე ადგილას მასიური თხრილები.

გალავნის გარე პერიმეტრზეც, ნაგებობის ზურგის მხრიდან, სადაც ის ნაკლები დაცულობით ხასიათდება, გვხვდება შენობათა კვალი, რომლებიც სავარაუდოდ გალავნის დამატებითი, ტერასული ნაწილებია. ძეგლის ამ მონაკვეთისა თუ სხვდასხვა ნაწილის თავდაპირველი არქიტექტურული სახის წარმოდგენა ძნელია. ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ფოტო 2. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 3. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 4, 5. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 6, 7. გალავნისა და სათავსის ფრაგმენტები

მეორე, მარცხენა ნაგებობა, რომელიც ხსენებულზე გაცილებით მასშტაბურია, უფრო მაღლაა განთავსებული და მეტი დაცულობით ხასიათდება (39°59'34.90"N 42°30'18.04"E). ამ შემთხვევაშიც ნაგებობის ძირითადი გეგმარება კლდის თავის ბუნებრივი განვითარების კონტურს შემოსდევს, თუმცა გარკვეულ არეებზე (უფრო უკანა მხარეს, სადაც ძეგლი ნაკლები დაცულობით ხასიათდება) გადის მისი საზღვრებიდან და ქმნის ერთგვარ ბარიერებს მომხდურთათვის. აღნიშნული ციტადელი გაცილებით ფართო მასშტაბს მოიცავს, მისი ძირითადი მონაკვეთის სიგრძე 250 მეტრს, ხოლო სიგანე 200 მეტრს უახლოვდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთით კომპლექსის ძირითადი ნაწილის მიღმა, შედარებით ქვემოთ, დამრეც ფერდზე აგებულია ასევე მასშტაბური მოცულობის, მართკუთხა გეგმარების მინაშენი, რომლის სიგრძე დაახლოებით 90 მეტრი, ხოლო სიგანე 80 მეტრია. მოცემული მინაშენის ფარგლებში არ ფიქსირდება დამატებითი, შიდა სათავსების კვალი, თუმცა უთუოდ უნდა არსებულიყო რაიმე ამგვარი. სადღეისოდ ეს მონაკვეთი სრულად მცენარეული საფარითაა მოცული და შესაბამისად არ იკითხება ნაშთების კვალი.

მთავარი შენობა, ძირითადი ნაგებობა თავისი კარგი დაცულობით აშკარად ავლენს მის გვერდით მთაზე არსებული ძეგლისგან განსხვავებულ სტრუქტურას. ერთ-ერთი მთავარი, რაც ძლიერ სახასიათოა მოცემულ შემთხვევაში და, იმავდროულად, გამოარჩევს შენობას რეგიონის სხვა მსგავსი ნაგებობებისგან, ესაა ძირითადი კედლების აგების სტრუქტურა. ციტადელის გალავნის კედლების სამშენებლო მასალად დიდი ზომის ქვებია გამოყენებული ისე, რომ შიდა და გარე წყობის გასწორებულ კედლებს შორის მოქცეული არე შევსებულია შედარებით წვრილი ქვების ღორღით. ქვის წყობა ჰორიზონტალური რიგების მეტ-ნაკლები დაცვითაა წარმოდგენილი და მასში გვხვდება, როგორც ლოდები, ისე ფორმამიცემული და ოდნავი დამუშავების მქონე საშუალო ზომის ქვები. კედლების სისქე დაახლოებით 2.7-3 მეტრია, ხოლო მისი აგების სტრუქტურისთვის სახასიათოა კონტრფორსების არსებობა. კედლების საშუალო სიმაღლე, მთელი ნაგებობის ფარგლებში, დაახლოებით 2-2.5 მეტრია, თუმცა გვხვდება უფრო მაღალი ნიშნულებიც. მთავარი კედლის მთელ პერიმეტრზე, წყობის გარე ნაწილზე, დაახლოებით 4-5 მეტრიანი დისტანციით წარმოდგენილია მართკუთხა შვერილები, რაც კედელს განსაკუთრებულ სიმტკიცესა და მდგრადობას სძენს. ამ ტიპის სამშენებლო ტექნიკის გამოყენება არც თუ ხშირია მოცემული რეგიონის ფარგლებში.

ამგვარი კონტრფორსებით გამყარებული ძეგლები ბასიანის რეგიონის ფარგლებში, გარდა ამ უკანასკნელისა, მხოლოდ ორია, თუმცა მასშტაბისა და გრანდიოზულობის თვალსაზრისით იღირბიღირი ორივე მათგანს ძლიერ აღემატება. გარდა ძირითადი, გალავნის კედლების აღნიშნული აღმშენებლობისთვის მნიშვნელოვანია შიდა ტერიტორიაზე განთავსებული უამრავი ნაგებობა. ნაგებობათა ნაწილი ძლიერაა დაზიანებული, განირჩევა მათი გეგმარება, რომელიც ზოგან მართკუთხა ფორმისაა, ხოლო ზოგან ოვალურ-წრიული მოხაზულობის. სადღეისოდ იმის გარკვევა თუ კონკრეტულად რა დანიშნულებისა იყო ესა თუ ის სათავსი ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ კომპლექსის შემთხვევაში მხოლოდ თავდაცვით ფუნქციაზე საუბარი რთულია. საფიქრებელია, რომ ეს კომპლექსი, თავისი მასშტაბითა და გრანდიოზულობით აერთიანებდა როგორც საცხოვრებელ, ისე თავდაცვით ნაწილს. აქვე საყურადღებოა, რომ ორივე მთის ძირში და მათ მაკავშირებელ უღელტეხილზე არსებულ მოვაკებაზე განირჩევა ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ესაა, ძირითადად მართკუთხა გეგმარების მქონე დიდი ზომის ნაგებობები, რომლებიც შესაძლოა, რომ რაიმე დასახლებას ეკუთვნოდა. არაა გამორიცხული, რომ ნაგებობებს შორისი მონაკვეთი სოფელი ყოფილიყო. ორივე მთაზე არსებული კომპლექსი ცხადია, განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს, რათა გასაგები გახდეს, როგორც ნაგებობათა არქიტექტურული მხარე, ისე მათი აგების დაახლოებით თარიღი. ნაგებობები მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი მეგალითურ ციხეებად იხსენიებს.

ფოტო 8. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 9. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 10, 11. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 12. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 13. ნაგებობის ტერიტორიაზე არსებული ფრაგმენტები

კაინარჯა, ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი კაინარჯა, თანამედროვე კაინარჯა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით, მდინარის პირას, ოდნავ შემაღლებულ ბორცვზე, ზღვის დონიდან 2090 მეტრზე, განთავსებული უნდა ყოფილიყო ციხე, რომელიც სადღეისოდ სრულადაა გამქრალი (39°57'17.88"N 42°31'59.70"E). არ ჩანს მისი კედლის სტრუქტურები ან ნაგებობის რაიმე კვალი. არსებული მდგომარეობით არ იკითხება გეგმარება, თუმცა სავარაუდო ციხის გეოგრაფიული გარემო, მისი განთავსების ლოკაცია აშკარად ავლენს სიახლოვეს მშრალი წყობის ნაგებობების ზოგადგეოგრაფიულ პრიორიტეტებთან. ამდენად, მცირე ბორცვის თავზე არსებული ბაქანი, რომელიც დღეს მიწითა და მცენარეებითაა დაფარული, შეგვიძლია განვიხილოთ სწორედ ამ კონტექსტში, რაც მოგვცემს ნაგებობის ზოგად-გეგმარებით სტრუქტურას. იმდენად, რამდენადაც მსგავსი ნაგებობები დიდწილად მორგებული იყო კლდის, მთის თუ კონკრეტული ბორცვის ბუნებრივ განვითარებას, მათი გეგმარებაც შესაბამისად ვითარდებოდა. აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს წრიული გეგმარების ნაგებობასთან, თუმცა მეტი კონკრეტულობით რაიმეს თქმა გაჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პერიმეტრზე არ ჩანს კედლების სტრუქტურის კვალი და არც რაიმე ნაგებობის ნაშთი, დასაშვებად მიგვაჩნია აქ ციხის არსებობა რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველესად, საყურადღებოა სავარაუდო ძეგლის განთავსების არეალი - ის, რომ ახლოსაა მდინარესთან, მდებარეობს შემაღლებულ ბორცვზე და ეს ბორცვი ზოგადი სახით გამოხატავს მსგავსი ტიპის ნაგებობათა გეგმარებით თავისებურებას. ფერდობის ბაქნის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 70x80 მეტრზეა, ხოლო მის ზედაპირზე დაკვირვებული და გამოცდილი თვალისთვის შესამჩნევია, მცენარეული საფარის ქვეშ არსებული, ნიადაგის ხელოვნური რელიეფურობა.

ამავე მოსაზრების გაგრძელებისა და მოცემულ ლოკაციაზე კულტურული ფენების არსებობის დადასტურების მიმართულებით საყურადღებოა, რომ ფერდის ერთ მხარეს ახლახანს გაიყვანეს გზა, სადაც მიწის ფენაში აღმოჩნდა უამრავი კერამიკული მასალა. ეს ნაწილი, რომლის ხელოვნური დარღვევაც მოხდა არ ეკუთვნოდა უშუალოდ ზედა ციხეს, ბაქნის ციტადელს - ის უფრო მისი ქვედა, ტერასული მონაკვეთი უნდა ყოფილიყო. ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ დიდი ოდენობით აღმოჩენილ კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს და მათ სიახლოვეს ბაქანზე (შესაძლო) განთავსებულ ციხესთან, მაშინ ჩვენი დაშვება კიდევ უდრო ლოგიკური გახდება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე არ ჩანს ციხის უშუალო ფრაგმენტები, ჩვენ ვერ უარვყოფთ მის არსებობას. გარდა ჩამოთვლილი მიზეზებისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სწორედ ამ მონაკვეთზე მიუთითებს ოდესღაც არსებული ციხის შესახებ. ის, რომ მათი მოსაზრებით ციხე აქ უნდა ყოფილიყო ნათლად ჩანს განძის მაძიებელთა მიერ გადათხრილი ტერიტორიითაც. ვფიქრობთ, რომ ციხე მოქცეულია მიწის ქვეშ თუმცა მისი რაიმე სახის დადგენა ამ მდგომარეობაში შეუძლებელია, მით უფრო - დათარიღება.

რაც შეეხება კერამიკულ ნაწარმს, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზეა მიმოფანტული, საგანგებო კვლევებს საჭიროებს, თუმცა ზოგადი სახით აქ განირჩევა შუა საუკუნეებისთვის სახასიათო საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტები. არსებული არტეფაქტები დამატებით ლაბორატორიულ და არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს. ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ციხის საერთო ხედი

ფოტო 3. ნაგებობის ტერიტორია

ფოტო 4. პერიმეტრზე არსებული კერამიკის ფრაგმენტები

კაინარჯა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი კაინარჯა, თანამედროვე კაინარჯა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის მიდამოებში, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 2.5 კილომეტრში, ზღვის დონიდან 2240 მეტრზე, ლოკალიზდება ციხის ფრაგმენტები (39°56'15.67"N 42°30'49.82"E). სავარაუდო ციხე განთავსებული იყო კლდოვან ქარაფზე, ერთგვარ კანიონში, სადაც ორ კლდოვან შვერილს შორის მდინარე ჩამოედინება. მდინარის მარცხენა ნაპირზე, შემაღლებული კლდოვანი კონცხის თავზე და მის ტერასულ უკანა მხარეზე განთავსებული უნდა ყოფილიყო მცირე ზომის ციხე ან რაიმე ტიპის სიმაგრე. არსებული პერიმეტრი იმდენად მცირეა, რომ აქ რაიმე გრანდიოზული საფორტიფიკაციო სისტემის არსებობა გამორიცხულია. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ჩვენ საქმე გვქონდეს მდინარის კანიონში, ბუნებრივად დაცული კლდოვანი მასივების ლოკალურ ათვისებასთან, მცირე სასიმაგრო სისტემის სახით. კლდის ქანობები, მდინარის მხარეს საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან და არაა გამორიცხული, რომ ოდესღაც (აქ ციხის ფუნქციონირების დროს), მათ შორის გადებული ყოფილიყო საკომუნიკაციო საშუალება ხის ან ქვის ხიდის სახით.

სადღეისოდ ნაგებობათა ნაშთები განირჩევა მხოლოდ კლდოვანი მასივის ერთ, მარცხენა მხარეს. ტერიტორია მოიცავს ფრიალო კლდის ნაწილს მდინარის მხარეს და ფერდობს უკანა მონაკვეთზე, სადაც ასევე ჩამოედინება ხევი, რომელიც ციხის მარჯვენა მხარეს მოსაზღვრავს. აღნიშნული მონაკვეთის საფორტიფიკაციო განვითარება პირობითად ორ სიმაღლედ უნდა წარმოვიდგინოთ - ერთი უშუალოდ კლდის თხემი, სადაც ყველაზე მაღალი წერტილია მოცემული და ოდნავ მის ქვემოთ მცირე ბაქანი, დაახლოებით 15 მეტრის სიგრძისა და 25 მეტრამდე სიგანის. სწორედ ამ უკანასკნელზე განირჩევა წყობის ფრაგმენტები. გვხვდება კედლის სტრუქტურები სხვადასხვა ლოკაციაზე, თუმცა ძლიერ დაზიანებული და დაშლილი. საფიქრებელია, რომ ციხის შემადგენელი კედლების დიდი ნაწილი მიწის ქვეშაა მოქცეული, რადგან ტერიტორია თითქმის სრულადაა მცენარეებით დაფარული. ადგილ-ადგილ იკითხება მცირე და საშუალო ზომის ქვის წყობის ნაწილები, რომელთა ზუსტი დანიშნულებაც უცნობია. ამასთანავე განირჩევა ტერასათა კვალიც, რომლებიც ასევე წყობებითაა მონიშნული. ქვის წყობის, სამშენებლო მასალის, ციხის განთავსების ზოგადი სახისა თუ ადგილზე გამოვლენილი კერამიკული ნაწარმის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მშრალი წყობის ნაგებობასთან, არამედ შუა საუკუნეების დუღაბით ნაგებ თავდაცვით სისტემასთან. ძეგლის პერიმეტრზე მრავლად განირჩევა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც დამატებით ლაბორატორიულ და არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს. სწორედ აღნიშნული კვლევების საფუძველზე იქნება შესაძლებელი ძეგლის დათარიღების შესახებ მსჯელობა. აღსანიშნავია, რომ ციხის სხვადასხვა პერიმეტრზე აქტიურია შავი არქეოლოგიის კვალი, რაც ძლიერ აზიანებს კულტურულ ფენებს.

თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ზემო კომის მეგალითურ ციხედ.

ფოტო 1, 2. ციხის საერთო ხედი

ფოტო 3, 4. ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტო 5. ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტო 6. პერიმეტრზე არსებული კერამიკის ფრაგმენტები

კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანის სოფელი კალბულასი, თანამედროვე იეშილოზი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yeşilöz, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2.3 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ველიბაბას მარჯვენა ნაპირას მდებარე ფრიალო კლდეზე, ადგილი, რომელიც ,,დელალად“ არის მოხსენიებული (Dellal Kaya), მდებარეობს წყლის გვირაბი (39°57'07.51"N 42°17'18.64"E). აქვე ფიქსირდებოდა ურარტული წარწერა. გვირაბის და წარწერის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა.

თურქული ლიტერატურის მიხედვით (Ceylan 2022: 573), წყლის გვირაბი კლდეში ამოჭრილი საფეხურებით ურარტულ პერიოდს მიეკუთვნება და დელალის გადასასვლელის აღმოსავლეთით მდებარეობს. საფეხურებიანი გვირაბი კლდის თხემიდან იწყება და მის ძირშივე მდებარე მდინარის კალაპოტამდე ჩადის. გვირაბის განათებას და ვენტილიაციას კლდეში ამოჭრილი მცირე ღიობები უზრუნველყოფენ. არსებული ინფორმაციით ,,დელიბაბას“ ურარტული წარწერა წყლის გვირაბის

სამხრეთით, იქვე მდებარე მცირე სიმაღლის ბორცვზე მდებარე ნაგებობაზე იყო. ამ ნაგებობის განადგურებასთან ერთად წარწერაც განადგურდა.

კლდოვანი მასივის გამოკვეთილი ფორმა, მდებარეობა და მასზედ წყალზე ჩასასვლელი გვირაბის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ კლდის თხემზე ციხე უნდა ყოფილიყო. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ქვემოთ მოყვანილი ურარტული წარწერა, რომელიც ,,დელიბაბას ურარტული წარწერის“ სახელითაა ცნობილი. წარწერა გამოქვეყნებულია ურარტული ტექსტების კორპუსში (Salvini 2008: A 5-41A), ასევე თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 143). გთავაზობთ წარწერის თარგმანს:

,,ღმერთი ხალდის ძალით იშპუინის ძე მენუამ ეს ციხე სრულყოფილად ააგებინა. ღმერთი ხალდის დიდებულებით იშპუინის ძე მენუა, ძლიერი მეფე, დიდი მეფე, ბიანილის ქვეყნის მეფე (და) ქალაქ ტუშფას მმართველი(ა).” [თურქულიდან თარგმნა ბ. გოზალიშვილიმა].



ფოტო 1. ურარტული წარწერის სქემატური გამოსახულება (წყარო: Özgül 2011: 252, ფოტო 125)

ფოტო 2. ციხის საერთო ხედი (წყარო: Ceylan 2022: 589, ფოტო 2)

კარაჯავირანი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი კარაჯავირანი, თანამედროვე კარაჯაიორენი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karacaören, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, მინდვრებსა და ველებზე არსებულ კლდოვან მასივში გაჭრილია გამოქვაბულები (40°02'47.11"N 42°20'46.18"E). ესაა მასიური კირქვის კლდოვანი შვერილი, რომელიც თეთრი ფერის სტალაგმიტური სახითაა წარმოდგენილი. თავისთავად კლდოვანი მასივი ძლიერ შთამბეჭდავია და, როგორც უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნულიც გამოყენებული ყოფილა გამოქვაბული სისტემებისთვის.

რთული ბუნებრივი გარემო-პირობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამო ძეგლის ადგილზე ფიქსაცია ვერ მოხერხდა.

არსებული მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლდოვანი მასივის შუა წელზე, მიწიდან დაახლოებით 20-25 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს გამოქვაბული კომპლექსები, რომელთა გარე ნაწილები მიდამო პერიმეტრიდანაც აღიქმება. ჩანს, რომ კომპლექსი საკმაოდ დიდი ზომისა უნდა იყოს, თუმცა გარედან დაკვირვებით იმის დადგენა თუ რამდენად ღრმად ვითარდება ქსელი კლდის სიღრმეში ძნელი დასადგენია.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. კომპლექსის საერთო ხედი

კიზლარკალე, ციხე (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი კიზლარკალე, თანამედროვე კიზლარკალე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kızlarkale, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, მის განაპირა მხარეს, ხევის პირას, ზღვის დონიდან 1965 მეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ციხის არსებობას (40°10'16.96"N 42°01'43.58"E), თუმცა ადგილზე არაფერია შემორჩენილი. სავარაუდო ლოკაცია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 300 მეტრში ხეობის პირას მდებარეობს. ადგილზე გვხვდება კლდოვანი მასივები, დიდი ზომის, ოვალური ფორმის შვერილი კლდოვანი მასა და ხეობის პირას, საშუალო სიმაღლის ქარაფები. საფიქრებელია, რომ გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი პირობების გამო, მოცემული ტერიტორია ათვისებული იქნებოდა თავდაცვითი სისტემისთვის, თუმცა დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით არავითარი კვალი აღარ იკითხება. მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი ამბობს, რომ აქ ციხის არსებობის შესახებ მხოლოდ „ლეგენდაა“ და რეალური მონაცემები საამისოდ არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ სოფელში და დიდი ალბათობით სწორედ ამ ადგილზე, ციხის არსებობის ვარაუდის უფლებას თავად სოფლის სახელწოდება, „კიზლარკალე“ გვაძლევს, თუმცა ამ ვარაუდს რეალური არტეფაქტები არ გვიდასტურებს. სოფლის ირგვლივ, სხვადასხვა მხარეს, კლდეებზე ფიქსირდება სხვადასხვა ზომის გამოქვაბულები, რომელთა ადგილზე ფიქსაცია ვერ მოხერხდა.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ტერიტორიის საერთო ხედები

მასრა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მასრა, თანამედროვე გუზელიაილა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Güzelyayla, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, სახნავ-სათესი მინდვრების ველზე არსებული შემაღლებული ბორცვის თხემზე, ზღვის დონიდან 1750 მეტრზე (40°03'15.44"N 41°58'54.68"E). გრანდიოზული ნაგებობის სავარაუდო ზომები 300x350 მეტრია, თუმცა მისი ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია ძალიან ცუდი დაცულობის გამო.

სადღეისოდ აღარ იკითხება შენობის ნაწილები - არ ჩანს ქვის წყობა თუ მისი სისტემა. ზოგადად შეიძლება განისაზღვროს თავდაპირველი ნაგებობის გეგმარება, რომელიც მთის თხემს შემოუყვებოდა და იმეორებდა მის გეოგრაფიულ მოხაზულობას. ბორცვის თხემზე, მის პერიმეტრზე, ჩანს მცირედ ამოზნექილი მიწის ერთიანი ზოლი, რომელიც მთლიანად შემოსდევს მთას, რაც შესაძლოა, ოდესღაც არსებული ნაგებობის გალავნის კედლებად მივიჩნიოთ. ნაგებობის მოხაზულობა ოვალურია, ხოლო მის შიდა ტერიტორიაზე ჩანს მიწის ქვეშ მოქცეული ნაყარი ქვები. არსებული მონაცემების მიხედვით რთულია ძეგლის თავდაპირველი არქიტექტურული სახის, მისი მასშტაბის, კონკრეტული გეგმარებისა თუ სამშენებლო ტექნიკის შესახებ მსჯელობა.

აღნიშნული მასალის საფუძველზე, ნაგებობის ზოგად-გეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინებით საქმე უნდა გვქონდეს მშრალი ქვის წყობის ნაგებობასთან, რომელიც შესაძლოა თავდაცვითი დანიშნულების ყოფილიყო, თუმცა მისი ბუნებრივი მდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით არაა გამორიცხული, რომ ასევე მშრალი წყობის სამოსახლო-სათავდაცვო არქიტექტურასთან გვქონდეს საქმე. ძეგლი გაშლილ ველზე არსებულ მცირედი შემაღლების ბორცვზეა განთავსებული და მისი ზომები გრანდიოზულია - ამგვარ გარემოში კი მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციის შენობის არსებობა სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართლებელი ჩანს. ამდენად, შესაძლოა საქმე გვქონდეს მშრალი წყობის ციხე-ქალაქთან, რომლის ზუსტი დათარიღებაც დამატებითი არქეოლოგიური კვლევების გარეშე, შეუძლებელია.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი მცირე ნაშთების ფორმებისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი ციხედ იხსენიებს.

ფოტო 1, 2. ტერიტორიის საერთო ხედები

ფოტო 3, 4. ნაგებობის ფრაგმენტები

მაღარაჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი მაღარაჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mağaracık, Horasan İlçesi, Erzurum İli). სოფელი მაღარაჯიკი მდებარეობს (40°01'20.97"N 42°28'4.87"E) თანამედროვე სოფელ თეკნეჯიკის (Teknecik) ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით და ამჟამად ამ სოფლის უბანს წარმოადგენს.

მაღარაჯიკის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, საძოვრებისა და სახნავ-სათესი მინდვრების ტერიტორიაზე მოცემულია კლდოვანი ბორცვი, რომლის სიღრმეშიც გამოქვაბულია ნაკვეთი (40°01'11.39"N 42°28'11.46"E). განსხვავებით სხვა გამოქვაბულებისა თუ კლდეში ნაკვეთი კომპლექსებისგან, რომლებიც კლდეებზე, ან შედარებით მაღალ კლდოვან ქარაფებშია ნაკვეთი, მოცემულ შემთხვევაში ქვაბული მიწის დონეზე არსებული კლდოვანი ფერდის სიღრმეშია ჩაჭრილი. საყურადღებოა, რომ კლდოვანი მასა საერთოდ არაა ამოზრდილი მიწის დონიდან, ის ფერდობივითაა მხოლოდ კლდოვანი ზედაპირის მქონე. აღნიშნული ფერდის ქვემოთ მდინარის ხევია მოცემული.

კლდოვანი ფერდის ზედა ნაწილში გვხვდება მართკუთხა ფორმის ჩანაკვეთი არე, რომელსაც მოშორებით მდგომი ვერაფრით დაინახავ. ქვაბულის ეს მართკუთხა ჩასასვლელი სიღრმით დაახლოებით 1.7 მეტრია, ხოლო მისი სიგრძე-სიგანე დაახლოებით 1.2x0.9 მეტრს უახლოვდება. მოცემული ღრმულის ერთ მხარეს, ქვედა არეზე, გამოჭრილია დაახლოებით 0.7 მეტრის სიმაღლისა და 0.6 სიგანის შესასვლელი გამოქვაბულში. ამ მცირე ზომის კარით ჩვენ ვუკავშირდებით დიდი ზომის სათავსს, რომლის სიგრძე-სიგანე 5.5x4.5 მეტრი, ხოლო სიმაღლე დაახლოებით 1.9 მეტრს უნდა აჭარბებდეს. აღნიშნული სივრცე სუფთადაა ნაკვეთი და მკვეთრად მოწესრიგებული ფორმები აქვს მიცემული სათავსს, რომლის ბოლოშიც, შესასვლელის საპირისპიროდ, სივრცე ოდნავ უფრო მაღლდება და განიერდება. ეს უკანასკნელი თითქოს მცირედით იზოლირებულია მთელი დარბაზისგან. კედლები არაა დამუშავებული დეკორატიული თუ ფსევდო-კონსტრუქციული ელემენტებით, თუმცა ერთმანეთის მოპირდაპირედ, სათავსის გვერდითი კედლებიდან გადის თითო, მცირე ზომის ოთახი. ორივე შემთხვევაში გასასვლელები იმდაგვარივეა,

როგორიც მოწყობილია ცენტრალური ქვაბულის შემოსასვლელში. ორივე ეს სათავსი დამოუკიდებელი მცირე ოთახებია, რომლებიც გეგმარებით არა მართკუთხა, არამედ უკვე მომრგვალებულია. გარდა ამ ქვაბული კომპლექსისა, მოცემულ კლდოვან ფერდზე, რომლის ზედაპირიც მარჯნისებრი სახითაა განვითარებული, სხვა ჯგუფი ქვაბებისა არ გვხვდება. ადგილობრივი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ განხილული კომპლექსიდან ჩასასვლელი იყო მოწყობილი მდინარის პირას, თუმცა ეს უფრო ადგილობრივთა „ლეგენდების“ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მსგავსი არაფერი იკითხება რეალურად. ხევს გადაღმა მოჩანს რამდენიმე კლდოვანი ბორცვი, სადაც თითქოს განირჩევა ასევე მცირე ქვაბების კვალი, თუმცა ადგილობრივთა მტკიცებით ისინი არ წარმოადგენს ხელოვნურ კვეთილობებს.

ჩვენ მიერ განხილული მიწისქვეშა ქვაბულის ზუსტი ფუნქციის დადგენა შეუძლებელია. ამასთანავე არსებული მასალის საფუძველზე არ ირკვევა მისი თარიღი. მიგვაჩნია, რომ ეს განშტოებებიანი დარბაზი თანაბრად შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც სამალავად, ისე საყოფაცხოვრებო თუ საკულტო ნაგებობად. დამატებითი კვლევების გარეშე შეუძლებელია დაზუსტებით მისი ფუნქციის გამოკვეთა და დათარიღება.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. კომპლექსის საერთო ხედები

ფოტო 3, 4. კომპლექსის შესასვლელი

ფოტო 5, 6. კლდეში ნაკვეთი მთავარი სივრცე და მცირე სათავსში შესასვლელი

მენევიურთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი მენევიურთი, თანამედროვე ქუჩუქკონაკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Küçükkonak, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის თავზე, მისგან სამხრეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, შემაღლებულ ბორცვზე, ზღვის დონიდან 2190 მეტრზე, მდებარეობს ნაგებობის ნაშთები (40°05'28.00"N 41°57'17.74"E). ძეგლი თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული, თუმცა იკითხება მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მისი ძირითადი სახის წარმოდგენა. ნაგებობა ამჟამად არსებულ სოფელს გადაჰყურებს და მისგან მთელი სოფლის ტერიტორია მოიხილვება.

სოფლის თავზე, მცირე შემაღლების მქონე ბორცვზე, განთავსებულია გრანდიოზული კომპლექსი, რომელიც მასიური ლოდების მშრალი წყობითაა ნაგები და სადღეისოდ თითქმის სრულადაა განადგურებული. კომპლექსის შემორჩენილი ნაწილების, ძირითადად მისი კედლების მიხედვით, რომლებიც მიწის პირამდეა მოსწორებული, იკითხება ნაგებობის გეგმარება და ზოგადი პროპორციები. მომსაზღვრელი კედლების მიხედვით ძეგლის სიგრძე დაახლოებით 150 მეტრი, ხოლო მისი სიგანე 130 მეტრი უნდა იყოს. ნაგებობა გეგმარებით ოვალურ მოხაზულობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი კედლების სტრუქტურების მიხედვით განირჩევა ნაგებობის მთავარი შესასვლელი, რომელიც საკმაოდ განიერია. ეს უკანასკნელი დაახლოებით 4 მეტრის სიგანისაა და ამავე მანძილზეა მისი კედლები შეჭრილი ნაგებობის გალავნის შიდა მხარეს. აღნიშნული გადაწყვეტით ძეგლის შესასვლელი ერთგვარი პარადულობით წარმოგვიდგება, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით ხაზს უსვამს კომპლექსის მასშტაბურობას. საყურადღებოა, რომ თავდაცვითი ან თუნდაც საცხოვრებელი კომპლექსის იმ ტიპის აღმშენებლობისთვის, როგორიც მოცემულ შემთხვევაში გვაქვს, ამდენად დიდი შესასვლელის მოწყობა არაპრაქტიკული და სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართლებელი ჩანს, თუმცა ამავდროულად, ეს უკანასკნელი მიგვანიშნებს გარკვეულ საჭიროებაზე, რომელიც სავარაუდოდ სატრანსპორტო ნაწილს უნდა უკავშირდებოდეს. ქალაქი, საფორტიფიკაციო სისტემა, რომლის სივრცეშიც ესოდენ მოზრდილი ტრანსპორტი შეიძლება გადაადგილებულიყო, რა მასშტაბის შესასვლელიცაა მოწყობილი, ადასტურებს მხოლოდ მის მაღალგანვითარებულობას და გრანდიოზულ მასშტაბებს.

რეალურადაც ასეა, გარდა დიდი ზომის შესასვლელისა, ასევე მოზრდილია მისი კედლების სისქე, რომელიც დაახლოებით 3 მეტრს უახლოვდება, ხოლო ზოგან, აჭარბებს კიდევაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია თავად სამშენებლო მასალა, რომელიც შედგება უზარმაზარი, დაუმუშავებელი ლოდებისგან და არც მთლად სახასიათოა მოცემული რეგიონის მეგალითური ძეგლებისთვის. მოცემული ძეგლი ერთ-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, სადაც სამშენებლოდ სწორედ ამ ტიპის ქვებია გამოყენებული. ლოდები ერთმანეთზე მჭიდროდ, კარგადაა მორგებული და კედლები ორივე მხრიდან (ინტერიერ-ექსტერიერი) ამ ტექნიკითაა ნაშენი. მასიური კედლების წყობებს შორისი არე შევსებულია შედარებით მცირე ზომის ქვა-ყრილებით, თუმცა მათი ზომაც საკმაოდ შთამბეჭდავია - ეს არ წარმოადგენს ქვა-ღორღს, როგორც ძეგლთა უმეტესობაზე გვხვდება.

სამწუხაროდ, ძლიერი დაზიანების გამო, რთულია ნაგებობის თავდაპირველი არქიტექტურული სახის წარმოდგენა ისევე, როგორც მისი თარიღის შესახებ მსჯელობა. შენობის შიდა ტერიტორიაზე განირჩევა ცენტრალურ მონაკვეთში, კლდოვან, შემაღლებულ არეზე ოდესღაც არსებული ნაგებობის ნაშთები, რომელიც სავარაუდოა, რომ საკულტო ნაგებობა ყოფილიყო. გარდა ამისა, აშკარაა ნაგებობათა მცირე ფრაგმენტები იმავე შიდა პერიმეტრის მასშტაბით, რომელთა დანიშნულების შესახებ მსჯელობა რთულია.

საყურადღებოა, რომ გარდა შიდა ტერიტორიისა, ნაგებობათა ნაშთები განირჩევა გალავნის გარე პერიმეტრზეც, რაც სავარაუდოდ მისი კიდევ ერთი გალავნის ნაწილი უნდა იყოს. ცენტრალური კომპლექსიდან დაახლოებით 20-25 მეტრის მოშორებით ფიქსირდება შედარებით მცირე ზომის ქვებთ ნაგები კედლების ნაშთები. ამგვარი გადაწყვეტის მიხედვით შესაძლოა საქმე გვქონდეს ორ გალავანთან ან ციტადელისა და ქვედა ციხის მიმართებასთან.

არსებული მონაცემებით ძნელია ძეგლის თავდაპირველი არქიტექტურული სახის, მისი ზუსტი გეგმარების, ფუნქციური დანიშნულებისა თუ სამშენებლო ფენების დროითი დიაპაზონის დადგენა. ნაგებობის მდებარეობის, მისი განთავსების არეალის, გეგმარებითი სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკის, ქვის ჯიშისა და წყობის ხასიათის თუ საერთო პროპორციების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძეგლი

მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ტიპს განეკუთვნება, რომლის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებისთვის საჭიროა მრავალმხრივი კვლევების ჩატარება, როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ისე არქეოლოგიური მიმართულებით.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. კომპლექსის ფრაგმენტები

ფოტო 2. გალავნის ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. გალავნის ფრაგმენტები

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ სოფლის ტერიტორიაზე განირჩევა მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სავარაუდოდ XIX საუკუნეს განეკუთვნება. მათ სამშენებლო მასალად ძირითადად ქვის კარგად დაჭრილ-დამუშავებული ბლოკებია გამოყენებული, რომელთა საფასადო წყობაშიც ჩართულია ხის ჰორიზონტალური სარტყლები.

ფოტო 5, 6. საცხოვრებელი სახლის საერთო ხედები

მოლამელიქი, ეკლესია (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი მოლამელიქი, თანამედროვე მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 0.8 კილომეტრის მოშორებით, ადგილობრივთა გადმოცემით სახნავ-სათესი მინდვრების ტერიტორიაზე, მცირე კორომში უნდა მდგარიყო ეკლესია (40°06'50.98"N 42°03'17.61"E), რომელიც დაანგრიეს. სადღეისოდ მოცემულ პერიმეტრზე არავითარი ნაგებობის კვალი აღარ აღიქმება.

სოფლის ტერიტორიაზე, მის ცენტრში გვხვდება საკმაოდ უცნაური ნანგრევები ძველი ნასოფლარის, ან შუა საუკუნეების საცხოვრებელი სისტემის, რომელშიც ჩართულია გამოქვაბული სისტემა (40°06'55.62"N 42°02'48.60"E). დაახლოებით 70 მეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის მცირე ტერიტორია ათვისებული ყოფილა შენობებით, რომელთა დიდი ნაწილი მიწის პირამდეა დანგრეული, თუმცა განირჩევა შედარებით მაღალი მოცულობებიც. ამავე ტერიტორიის მარჯვენა, კიდურა მონაკვეთი კდლოვან ბორცვს უკავია, რომლის სიღრმეშიც ორგანყოფილებიანი ქვაბულია ნაკვეთი. კლდოვანი მასივის „საფასადო“ მხარე დიდი, თაღოვანი „პორტალია“, რომლის გავლის შემდგომაც ოვალური გეგმარების მქონე, საშუალო ზომის სათავსში ვხვდებით. გამოქვაბულის კედლები უხეშადაა ნაკაფი და არ ჩანს რაიმე ტიპის დამატებითი ელემენტის არსებობა. დღეს ამ კლდის თავზე ახალი სახლია აშენებული და ამდენად ძნელი დასადგენია მისი თავდაპირველი სახე და ფუნქცია, თუმც კლდოვანი მასივის სხვადასხვა არეზე შემორჩენილია კარგად გათლილი ქვების შერჩენილი წყობები. ქვის წყობის ელემენტები კლდის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს, მაგრამ რთული სათქმელია ის რა ფუნქციას ასრულებდა თავის დროზე.

უშუალოდ კლდის გვერდით არსებული ნასახლარები, ჩვენი დაკვირვებით ორ სამშენებლო ფენას უნდა შეიცავდეს - მათ შორის, ერთი ახლოსაა ქვაბულიანი კლდის ზედაპირზე მოცემული მცირე ქვის ფრაგმენტების დამუშავების ხასიათთან, ხოლო მეორე მოგვიანო პერიოდისა უნდა იყოს. ცხადია, ასეთი მწირი მასალის საფუძველზე ვარაუდების გამოთქმა რთულია, თუმცა დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მცირე სოფელთან, რომელსაც ჰქონდა თავისი პატარა ზომის თავდაცვითი და საკულტო შენობა კლდოვანი მასივისა და მასში გაჭრილი ქვაბულის სახით. იმისთვის, რომ არსებული ტერიტორიის, მასზე განთავსებული სხვდასხვა ტიპის არქიტექტურული ნაშთებისა, თუ სოფლის მიდამოებში მითითებული მონაკვეთების შესახებ რაიმე ითქვას, საჭიროა დამატებითი კვლევები. ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტოა 1, 2. ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტოა 3, 4. კედლის სტრუქტურები

მოლამელიქი, ციხე (?) სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მოლამელიქი, თანამედროვე მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 1.2 კილომეტრის მოშორებით, ზღვის დონიდან 1770 მეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ციხის არსებობას (40°06'50.61"N 42°03'34.25"E), თუმცა ადგილზე არაფერი გაირჩევა. აღსანიშნავია, რომ მოცემული ტერიტორია განთავსებულია ამჟამინდელ სახნავ-სათეს მინდვრებში, რის გამოც სრულად კულტურული მცენარეებითაა დაფარული. მოცემული მონაკვეთი არ შეიცავს ნაგებობათა ნაშთებს - ჩანს მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის ქვების გროვები. ამავე ლოკაციის მოპირდაპირედ, მცირე კლდოვან მასივზე განირჩევა რამდენიმე გამოქვაბული, რომლებიც კლდის ზედაპირზე გაფანტულადაა გაჭრილი. ქვაბები აშკარად ხელოვნურად გაჭრილს ჰგავს, თუმცა ძალზე მცირე ზომისაა და არ გააჩნია შიდა სტრუქტურული განვითარება. ცეხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტოა 1. ტერიტორიის საერთო ხედი

ფოტოა 2. გამოქვაბულების საერთო ხედი

ფოტო 3. გამოქვაბულების ახლო ხედი

სანამერი, ნაგებობები

ისტორიული ბასიანის სოფელი სანამერი, თანამედროვე ჰაჯიაჰმეტი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hacıahmet, Horasan İlçesi, Erzurum İli).

აღნიშნული სოფელი მოცემულ ტერიტორიაზე შედარებით გვიანაა გაშენებული (40°10'30.72"N 42° 08'11.96"E). მანამდე სოფელი ხევის ზემოთ მთაში მდებარეობდა, ხოლო ძლიერი მიწისძვრის დროს, სავარაუდოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მოსახლეობა შედარებით ქვემოთ ჩამოვიდა. მიუხედავად ამისა სოფლის ტერიტორიაზე ფიქსირდება რამდენიმე საყურადღებო შენობა - მათ შორის, სკოლა, მასთან არსებული მცირე დარბაზი და ძველი წისქვილი. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით და ძეგლებზე

დაკვირვებით ჩანს, რომ ხსენებული ნაგებობები დაახლოებით გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში უნდა იყოს აგებული. სკოლა სოფლის ცენტრში მდებარეობს, ხოლო წისქვილის შენობა, რომლის ინტერიერის ადგილზე შესწავლაც ვერ მოხერხდა, სოფელში შესასვლელი გზის პირას, მცირე ხევზე. დღეს წისქვილი აღარ ფუნქციონირებს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც სიძველეს მას ინახავს და უფრთხილდება. წისქვილის შენობა ორი ნაწილისგან შედგება და გადახურულია ხის კოჭოვანი სისტემით. მასში შემორჩენილია ძველი საფქვავი სისტემა, თუმცა ინტერიერში შესვლა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება სკოლას, ისიც ძველი შენობაა, მაგრამ გვიანდელი გადაკეთებებისა და შელესილობის გამო სახე დიდწილად შეცვლილი აქვს.

ფოტო 1. სოფლის სკოლა

ფოტო 2. ძველი წისვილის შენობა

ხანეგე, გამოქვაბულები და არქიტექტურული კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი ხანეგე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Horasan İlçesi, Erzurum İli). სოფელი ხანეგე მდებარეობს (40°07'41.08"N 42°14'54.93"E) თანამედროვე სოფელ ხიზირილიასის (Hızırilyas), სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით და ამჟამად ამ სოფლის უბანს წარმოადგენს.

ხანეგეს აღმოსავლეთით 2.5 კილომეტრის მოშორებით, მდინარის პირას მდებარეობს დიდი ზომის, მართკუთხა გეგმარების ნაგებობა (40°07'23.02"N 42°16'40.38"E), ძველი სასაფლაო და გამოქვაბულების კომპლექსი (40°07'27.82"N 42°16'36.46"E).

მდინარის მარცხენა ნაპირზე, მისგან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით მდებარეობს მართკუხა გეგმარების დიდი ზომის ნაგებობა, რომლის სამშენებლო მასალადაც გამოყენებულია კარგად დამუშავებული, უხეშად გათლილ-გასწორებული, საშუალო ზომის ქვები. ნაგებობის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 35x15 მეტრია, ხოლო სათავსში შესასვლელი დასავლეთითაა გაჭრილი. ეს ერთადერთი კარია, რომელიც საკმაოდ განიერი და ერთგვარი კარიბჭის სახეს ატარებს. შესავლელის სიგანე 2 მეტრს აღემატება. მართკუთხა გეგმარების დამოუკიდებელ სათავსს დასავლეთით, უნაკეროდ მიშენებული აქვს ერთგვარი კარიბჭე, რომელიც დერეფნის ფუნქციას ასრულებს და ნაგებობის საზეიმო შესასვლელის სახით წარმოგვიდგება. აღნიშული „კარიბჭის“ კედლების სიგრძე 3.5-4 მეტრია, რაც დამატებით უსვამს ხაზს მის გამორჩეულ არქიტექტურულ აქცენტს. შენობის ძირითადი კოპრპუსი დანგრეულია, მაგრამ ძეგლის მთავარი კედლები (მთელ პერიმეტრზე), თანაბარ სიმაღლეზეა შემორჩენილი და დაახლოებით 1.5-2 მეტრს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის დაახლოებით 1-1.2 მეტრის სისქის კედლები ნაშენია დუღაბის საფუძველზე, თუმცა გაურკვეველია დუღაბის შემადგენლობა. შენობის ინტერიერში (შუა ხაზზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით), გვხვდება ორ ადგილას შეგროვებული ქვების მცირე ზომის „ბორცვები“. ეს შესაძლოა ყოფილიყო ნაგებობის გადამხურავი სისტემის, ხის კოჭოვანი გადახურვის, ინტერიერის ცენტრალური ძელების ბუდეები, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ინტერიერში არ გვხვდება ჩამოშლილი ქვის წყობების საკმარისი მასა, რომ მისი გადახურვა კირ-დუღაბზე გამართული კამაროვანი ფორმით გვევარაუდა.

ამავე ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი შევსებულია რამდენიმე, ასევე მართკუთხა გეგმარების მინაშენით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია კარების საშუალებით. სამშენებლო

მასალის თვალსაზრისით განსხვავება არ გვხვდება ძირითად ნაგებობასთან, თუმცა აშკარაა ხარისხობრივი განსხვავება. ამასთანავე, აღნიშნული მინაშენების სტრუქტურა გაცილებით უფრო მეტადაა დაზიანებული. კედლების სისქე და წყობა შედარებით უფრო სუსტია, ვიდრე ცენტრალური კვადრატისა. მინაშენთაგან ერთ-ერთი ნაგებობის ცენტრალურ მონაკვეთზე გვხვდება დიდი ზომის ლოდი - ის სწორედ სათავსის ცენტრშია განთავსებული.

საერთო სახით ნაგებობა თავისი მინაშენებით საკმაოდ კარგადაა დაცული, შემორჩენილია მისი კედლების ძირითადი ნაწილები, იკითხება შენობათა ერთობლიობა გეგმის დონეზე, თუმცა მისი სივრცითი განვითარებისა და პირველსახის წარმოდგენა მაინც ძალიან სრულია. ასევე გაურკვეველი რჩება ძეგლის თავდაპირველი ფუნქცია. მოცემული სახით შესაძლებელია დაგვეშვა ნაგებობის საერო ფუნქციაც და მისი შესაძლო საკულტო დანიშნულებაც, რადგან ის არ იძლევა მკვეთრ მანიშნებლებს სწორედ რომ ფუნქციასთან მიმართებით. ნაგებობა თავისი გეგმარებით, კედლების სისქით, ქვის დამუშავების მაღალი ხარისხით, რიგების ჰორიზონტალობის მკვეთრი დაცვით, მხატვრული გააზრების თავისებურებით და ა.შ. გვაძლევს საფუძველს, რომ გამოვრიცხოთ მისი საყოფაცხოვრებო ფუნქციასთან კუთვნილების საკითხი, თუმცა ხაზგასმით არც მისი საკულტო დანიშნულება იკვეთება. მიგვაჩნია, რომ მოცემული შენობა კონტექსტში უნდა იქნას განხილული მის გვერდით არსებულ სასაფლაოსთან და იქვე მდებარე კლდეში ნაკვეთ ქვაბულებთან მიმართებით.

შენობის აღმოსავლეთით, დაახლოებით 70 მეტრის მოშორებით, იწყება სასაფლაოს ტერიტორია, სადაც რამდენიმე ათეული საფლავია. აღნიშნული ტერიტორია არაა მოზღუდული - ის ღია, გაშლილ ველზე ყოველგვარი მომფარგვლელი წყობის გარეშეა წარმოდგენილი. საფლავები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა - მათგან გამორჩეული საფლავები შედგება ერთგვარი „პირამიდული“ ფორმის ზედნაშენებით, სადაც უშუალოდ სამარხზე აგებულია ქვის წყობით შედგენილი მასიური კედლები. კედლები ტრაპეციული სახით ვითარდება და დამრეცი ზედაპირები „სახურავის“ არეზე ქმნის მომრგვალებულ და მართკუთხა ზედაპირებს. ყველა საფლავს თავსა და ფეხებთან ჩასმული აქვს შედარებით მოზრდილი ზომის ფილა, რომელიც მიწაში ვერტიკალურადაა ჩასობილი. მოცემული ფილების სიმაღლე და ფორმები დამოკიდებულია თავად საფლავის ზომასა და ფორმასთან. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის საფლავები, თავისი გადაწყვეტითა და დაცულობის ხარისხით, არაუგვიანეს XIX საუკუნისა უნდა იყოს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „კომპონენტი“ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ერთგვარი „კომპლექსიდან“ სასაფლაოს და დიდი ზომის, უკვე ხსენებული სათავსის, ჩრდილოეთით, მაღალ კლდეზე მდებარეობს. სასაფლაოდან და მართკუთხა გეგმარების ნაგებობიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 150 მეტრში, კლდოვან მასივში გამოკვეთილია გამოქვაბულთა კომპლექსი. საფიქრებელია, რომ კომპლექსი ბევრად უფრო დიდი მასშტაბისა და მრავალსივრციანი იქნებოდა, თუმცა სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი. კლდოვანი მასის ერთი შრე, წინა არე ჩამოშლილია, ამდენად დაკარგულია მისი შემადგენელი გარკვეული ნაწილები. მიუხედავად დანაკარგებისა, ქვაბები საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი და ჩანს სართულიანობის მაჩვენებელიც. არსებული მდგომარეობის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძეგლის საერთო სართულიანობა არ აღემატებოდა 10-12 მერტს, რომლის ფარგლებშიც ფიქსირდება ოთხი ძირითად და ერთი მისიწქვეშა სართული. კლდეში გამოკვეთილი პირველი სართულის დონე დაკარგულია და შემორჩელინია მხოლოდ კლდის ზედაპირზე არსებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ასევე განსხვავებული ფუნქციის ხვრელები, რაც გვიდასტურებს მოცემულ არეზე სათავსთა არსებობას. უკვე მეორე სართულის დონეზე განირჩევა ერთი, დიდი ზომის ქვაბი, რომლის შესასვლელის სიმაღლე დაახლოებით 1.2-1.4 მეტრია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთი ქვაბულის ინტერიერში შესვლა ვერ ხერხდება, რადგან ისინი მიწის დონიდან საკმაოდ მაღლაა გამოკვეთილი და ამასთანავე ქანების შლის გამო საფრთხის შემცველია. ჩანს, რომ მეორე სართულის დონეზე არსებული ეს სათავსი დიდი ზომისაა, თუმცა ჩვენთვის უცნობია ვითარდება თუ არა ეს უკანასკნელი სიღრმეში და აქვს თუ არა დამატებითი სათავსები. აღნიშნული სირთულე ჩვენ ყველა სხვა ქვაბულთან მიმართებითაც გვაქვს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მათი ინტერიერების ნახვა ვერ მოხერხდა - გარდა ამისა, ფოტოს მიხედვით მოცემული მდგომარეობის შემოწმება არ გამოდის. მესამე სართულის სახით ჩვენ გვხვდება ერთმანეთის გვერდით, მცირედი სიმაღლის ცვალებადობით, განთავსებული რამდენიმე სათავსი. შესასვლელთა გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მინიმუმ სამ დიდ ქვაბულთან, რომელთა

შიდა დანაწევრება და მოცულობაც ასევე უცნობია. შესასვლელებიდან ორი დიდი ზომისაა, რაც ირიბად მიგვანიშნებს სათავსთა მასშტაბურობაზე. ყველა შესასვლელი ღიობი დაახლოებით ერთი ფორმისაა - ვერტიკალურად წაგრძელებული ოვალური მოხაზულობის. რაც შეეხება მეოთხე სართულს, აქ მხოლოდ ერთი სათავსის შესასვლელი ღიობი იკითხება და ამდენად, მხოლოდ ერთ ქვაბულთან უნდა გვქონდეს საქმე. მისი შესასვლელიც დაახლოებით იმავე ზომისა და ფორმისაა, როგორც ქვედა დონეებზე. ყველა ეს გამოქვაბული კლდოვანი მასივის ერთ სიბრტყეზეა გამოკაფული, ხოლო გვერდითი არეები თითქმის არ შეიცავს დამუშავების კვალს თუ არ ჩავთვლით ორ მცირე ქვაბსა და წყლის სადინარ სისტემას. მნიშვნელოვანი მოცემულობაა წარმოდგენილი ქვაბული კომპლექსების მიწისქვედა დონეზე, სადაც აშკარად იკითხება ქვის წყობებით შედგენილი, მინიმუმ ორი სათავსის არსებობა. საშუალო ზომის, მცირედ დამუშავებული და ფორმამიცემული ქვებით ნაგებია კლდის ძირში, მიწის ქვედა სართული, რომელსაც აშკარად შიდა დანაწევრებაც უნდა ჰქონოდა. დღეის მდგომარეობით მოცემული არე სრულადაა განადგურებული, როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური დაზიანებების გამო. ნათლად იკითხება განძის მაძიებელთა კვალი განათხარი მონაკვეთების სახით. საფიქრებელია, რომ მიწისქვედა ეს სართული საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსი იქნებოდა, რომელიც ტემპერატურული სტაბილურობის გათვალისწინებით კარგად შეინახავდა საკვებს, სასმელს და ა.შ. ამას უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ ადგილზე მიმობნეულია კერამიკული ჭურჭლის უამრავი ფრაგმენტი. არსებული არტეფაქტების მიხედვით, ზოგადად ჩვენ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ნაწარმთან, რომლის ზუსტი დათარიღებაც დამატებითი კვლევების საგანია. ერთი რამ კი უთუოდ შეიძლება ითქვას - არსებული მასალის მიხედვით, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ზომის, ფორმის, მხატვრული გაფორმების, ტექნიკის, დამუშავებისა და დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთების ნატეხებს, ჩანს მათი განსხვავებული დროითი კუთვნილება.

ჩვენ მიერ აღწერილი „კომპლექსის“ მნიშვნელობას და მასშტაბს კიდევ უფრო თვალნათელსა და განვითარებულს ხდის კლდოვანი მასის წინა არეზე, მასიურ ფერდზე განთავსებული სხვადასხვა ზომის სათავსთა კვალი. ველზე გაშლილი საფლავებისა და დიდი ზომის სათავსიდან კლდის გამოქვაბულებამდე მონაკვეთი, დაფერდებული არე, თითქმის სრულადაა შევსებული მცირე ზომის ქვის წყობის სტრუქტურებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ტერასულად განაშენიანებულ სისტემასთან, რომლის ფარგლებშიც შესაძლოა ყოფილიყო დამოუკიდებელი სათავსებიც და უბრალოდ ფერდის საფეხუროვანი სახის მიმცემი ელემენტებიც.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული სათავსების კვალი აღინიშნება მოცემული კომპლექსიდან სამხრეთით, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსებული ფერდობებიდან ერთ-ერთზე, სადაც მცენარეული საფარის ქვეშ განირჩევა მართკუთხა სათავსების კვალი (40°07'12.91"N 42°16'42.08"E). ერთმანეთის გვერდით ნაგებია ურთიერთგადაჯაჭვული სათავსების რიგი, რომლებიც ნაგებია დიდი ზომის ქვების მშრალი წყობით. გეგმით მართკუთხა, საშუალო ზომის (სიგრძე-სიგანით დაახლოებით 10x15 მეტრზე) სათავსები სავარაუდოდ საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელს უნდა წარმოადგენდეს. თავისი ფორმით, სამშენებლო მასალით, ტექნიკითა და განაშენიანების გააზრებით მოცემული ჯგუფი უნდა მოვიაზროთ შუა საუკუნეების საცხოვრებელ პუნქტად - სავარაუდოდ მცირე სოფლად.

საერთო სახით მთელი ეს ჯგუფი, ჩვენ მიერ „კომპლექსად“ მოაზრებული, შეიცავს სხვადასხვა დროის, ფუნქციისა და დანიშნულების ნაგებობათა დამოუკიდებელ თუ შეჯგუფებულ წრეს. მათი ურთიერთმიმართების გამორკვევა შესაძლოა უფრო მეტის მთქმელი აღმოჩნდეს, ვიდრე ამ ნაკლული, დაზიანებული და დაშლილი ელემენტებისა დამოუკიდებლად. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, ჩვენ მიერ თავდაპირველად აღწერილი, დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა, რომლის ფუნქციურ დანიშნულებაზე საუბარი, მასალის არარსებობის გამო, გაგვიჭირდა. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის, მის ქვედა არეზე, ტერასულად განვითარებული ფერდისა და სასაფლაოების გათვალისწინებით შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს მოზრდილი ნაგებობა შესაძლოა ყოფილიყო სამონასტრო სივრცის სატრაპეზო ან სხვა ტიპის თავშეყრის ადგილი, შესაძლოა ეკლესიაც, თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოა. მიუხედავად ამ დაშვებისა, მიგვაჩნია, რომ საჭიროა დამატებითი კვლევები და მანამდე გამოთქმული ყველა ვარაუდი, მეცნიერული თვალსაზრისით, უსაფუძვლოა. გამოქვაბულები და არქიტექტურული კომპლექსში არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. გამოვაბული კომპლექსის საერთო ხედი

ფოტო 2. ნაგებობის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3. ცენტრალური ნაგებობის ფრაგმენტები

ფოტო 4. კედლის ნაშთები გამოქვაბული კომპლექსის ძირში

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხაჩლი, თანამედროვე ხარჩლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცენტრიდან 2 კილომეტრის მოშორებით, მთა პოსტლუბაბას დასავლეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, მდებარეობს ციხის ნაშთები (39°54'09.23"N 42°03'33.31"E), რომელთა ადგილზე შესწავლა და ფიქსაცია ვერ მოხერხდა რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მიუხედავად ამისა, შორი დისტანციიდან ნათლად იკითხება გარკვეული ნაგებობების კვალი, რომლებიც მცირე ზომის წყობების სახითაა შემორჩენილი.

ნაგებობა განთავსებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მთის დასავლეთ ფერდზე, არამედ მთელს მის ზედაპირზე და ფერდობებზე. ეს გრანდიოზული მასშტაბის მთა, რომელიც ძირითადად კლდოვანი ქანებისგან შედგება, როგორც ჩანს იმთავითვე სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა და ათვისებული იყო თავდაცვითი მიზნით. მთის ზედა არე, ციტადელი მოიცავს ბუნებრივად შვერილ კლდოვან მასივს, რომლის კიდეებზეც განირჩევა დიდი ზომის, ოდნავ ფორმამიცემული ქვებით შედგენილი წყობები. აღსანიშნავია, რომ წყობის კვალი იკითხება იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ბუნებრივად არ წარმოადგენდა დაცულ მონაკვეთს, ხოლო ის არეები, სადაც კლდოვანი მასივი თავისთავად იყო მიუვალი კედლების გარეშეა მოცემული. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს უზარმაზარი მთის სხვადასხვა სიმაღლეზე განვითარებულ მშენებლობასთან - მათ შორის, მთავარი ნაწილია ზედა ციხე. მისი კედლებიდან, დასავლეთით იკითხება რამდენიმე ფრაგნემტი, რომელთა საშუალო სიმაღლე დაახლოებით 1-1.2 მეტრია. წყობა მშრალი წესითაა შედგენილი. სამშენებლო მასალად მეტწილად ბრტყელი, საშუალო და დიდი ზომის ქვებია გამოყენებული, რომლებიც საფასადო არეზე გამოდიოდა. ცხადია, რომ კელდების შიდა

სტრუქტურასა და საფასადო წყობას შორის არე შედარებით მცირე ზომის ქვა-ღორღით იქნებოდა ამოვსებული. აქვე აღსანიშნავია, რომ კედლების სტრუქტურები მეტწილად დასავლეთ ფერდზე განირჩევა, რადგან ამ მხარეს მდებარეობდა ციხეზე მისასვლელი ერთადერთი გზა - აღმოსავლეთიდან მთა კლდოვანი ქარაფის სახისაა და მისვლა შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად თავდაცვითი სისტემის, გალავნის კედლებისა და ტერასების აგება სწორედ მთის დასავლეთი ფერდისთვის იყო მიზანშეწონილი. გარდა ციტადელისა და მისი კედლების სტრუქტურებისა, ნათლად იკითხება დასავლეთი ფერდის ქვედა ტერასებიც, ერთგვარი ქვედა ციხე, ან გალავანი, რომელიც მთელს ამ პერიმეტრს დამატებითი ბარიერით ამაგრებდა და იცავდა. ამ შემთხვევაში შედარებით მცირე ზომის ქვებია გამოყენებული კედელთა ასაგებად. ისევე, როგორც ციტადელზე, მოცემულ მონაკვეთზეც წყობის ხასიათი მსგავსია - ნახმარია ბრტყელი ქვების, თუმცა შედარებით მცირე ზომის და წყობა ამ შემთხვევაშიც უდუღაბოა. საფიქრებელია, რომ ციტადელამდე მისასვლელ გზაზე ასეთი გალავან-ბარიერები შესაძლოა რამდენიმე ყოფილიყო, თუმცა დაზიანების გამო მხოლოდ ერთი მათგანი იკითხება მკვეთრად. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს მაღალი და საკმაოდ მასშტაბური მთის სრულ ათვისებასთან. აღნიშნული გეოგრაფიული გარემო ძლიერ მიმზიდველი იქნებოდა საუკუნეთა განმავლობაში, რადგან გარდა ბუნებრივად დაცულ-გამაგრებული ლოკაციისა, ის სტრატეგიულადაც მნიშვნელოვან წერტილს წარმოადგენდა - აქედან თავისუფლად მოხდებოდა მიდამო ხეობებისა და ტერიტორიების კონტროლი.

არსებული მონაცემებით ძეგლის სამშენებლო ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია, საჭიროა ნაგებობის ადგილზე შესწავლა, რათა გამოვლინდეს მისი სამშენებლო სტრუქტურა, გეგმარება და სათავსთა თავისებურებები. ასევე მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მასალის გამოკვლევა, რათა დავადგინოთ ძეგლის აგებისა თუ შემდგომი ფუნქციონირების ეტაპები.

საყურადღებოა, რომ მოცემული ტერიტორიის და მთის ზედაპირზე არსებული ციხის მასშტაბი ამით არ შემოიფარგლება. კლდოვანი მასივის აღმოსავლეთი ნაწილის ძირში მოცემული საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელიც ერთგვარი ბაქანის სახითაა მოსწორებული. ესაა დაახლოებით 140 მეტრის სიგრძისა და 70 მეტრის სიგანის, შედარებით სწორზედაპირიანი ბაქანი, რომლის მთელი პერიმეტრიც ათვისებული ყოფილა სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული ნაგებობებით. ეს არის ძალზე მასშტაბური, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპლექსი, რომელიც ერთიან სიგრძეზეა განვითარებული. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი ზედაპირამდეა მოსწორებული და განირჩევა მხოლოდ მათი კვალი, რომლის მიხედვითაც ყოველთვის არ ხერხდება გეგმარების ზუსტი აღდგენა. მიუხედავად ამისა ჩვენ გვხვდება ძირითადად მართკუთხა მოხაზულობის სათავსები, რომელთა საშუალო სიგრძე-სიგანე 10x12 მეტრზეა. სამშენებლო მასალად ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია საშუალო ზომის, თუმცა სხვადასხვა ფორმის დაუმუშავებელი ქვები. ნაგებობათა კედლების საშუალო სისქე დაახლოებით 2-2.5 მეტრს შორის მერყეობს. აღსანიშნავია, რომ მოცემული ტერიტორია აღმოსავლეთიდან ასევე კლდოვანი მასივითაა მოსაზღვრულ-დაცული, ხოლო განაშენიანება მოქცეულია ამ უკანასკნელსა და დიდი მთის აღმოსავლეთი ნაწილის კლლდოვან მასივს შორის. რამდენიმე მონაკვეთზე იკითხება მიწის დონიდან ამოზიდული კედლების ფრაგმენტები, სადაც განირჩევა კედელთა ვერტიკალები, თუმცა ამის მიხედვით შენობის გეგმარებისა თუ ფუნქციის დადგენა ვერ ხერხდება. არსებული მასალის მიხედვით რთულია იმის გარკვევა თუ დროის რა ინტერვალშია აგებული აღნიშნული კომპლექსი. ასევე გაურკვეველი და დაუდგენელი რჩება მოცემული განაშენიანების ფუნქციის დადგენა. კვლევის საგანს წარმოადგენს, როგორც დამოუკიდებლად აღნიშნული ტერიტორია, ისე მისი კავშირი მთის თავზე არსებულ კომპლექსთან. კლდოვანი მასივის სამშენებლო მასშტაბის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ მის ძირში არსებული ეს გრანდიოზულივე კომპლექსი მის ნაწილად მივიჩნოთ და ჩავთვალოთ, რომ ქვედა კომპლექსი მუდმივ საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობაც შემოსევისა ან რაიმე ტიპის საფრთხის შემთხვევაში თავს ციხე-სიმაგრეს აფარებდა. ეს მხოლოდ უზოგადესი დებულებაა, რომლის დადასტურებასაც სხვადასხვა სახის კვლევა სჭირდება. მოცემულ ტერიტორიაზეც ისევე, როგორც უმეტეს შემთხვევაში, ტერიტორია და მისი კულტურული ფენები დაზიანებულია განძის მაძიებელთა მიერ.

სოფლის მიდამოებში, სხვადასხვა მაღალ მთაზე ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ციხეების არსებობას, თუმცა რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო მათი ადგილზე ნახვა ვერ მოხერხდა.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. კედლის სტრუქტურების ნაშთები

ფოტო 3, 4. ნაგებობების ფრაგმენტები

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხაჩლი, თანამედროვე ხარჩლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფელ ხარჩლის ეკუთვნის კიდევ ერთი სიმაგრე, რომელიც მისგან მოშორებით მდებარეობს და მისასვლელი გზა ქოფრუქოის რაიონის სოფელი იუქარიკიზილჯადან (Yukarıkızılkale) გვხვდება. ძეგლი ხარჩლის სამხრეთით დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და განთავსებულია, საძოვრების ტერიტორიაზე, მაღალი მთის თხემზე, ზღვის დონიდან 2490 მეტრზე, სოფელ იუქარიკიზილჯადან აღმოსავლეთით დაახლოებით 2.5 კილომეტრის მოშორებით, მთებში (39°53'05.55"N 42°03'23.94"E). ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოცემული ტერიტორიები საძოვრებადაა გამოყენებული. ერთ-ერთი მთის თხემზე, რომლის ზედაპირიც მოსწორებულია, მდებარეობს ნაგებობათა მასშტაბური კომპლექსი. ტერიტორა მთის თავზე საკმაოდ მოხდილია მისი სიგრძე დაახლოებით 15 მეტრი, ხოლო სიგანე 70 მეტრია. მთელს ამ პერიმეტრზე, მთის კიდეებამდე გაშლილია არქიტექტურული კომპლექსის ნაშთები. ნაგებობათა კომპლექსი, ტრადიციულად, გეოგრაფიული გარემოს ბუნებრივ პირობებსაა მორგებული და მოცემულ შემთხვევაშიც სრულად მისდევს მთის ზედაპირის განვითარებას. ვიდრე უშუალოდ თხემის მოსწორებულ ზედაპირზე ავალთ, კონუსისებრი ფორმის მქონე მთის ფერდობზე, მის ერთ მონაკვეთზე, სადაც მცირე ბაქანია გაკეთებული, გვხვდება მართკუთხა გეგმარების, ძლიერ დაშლილი და დაზიანებული ნაგებობების ნაშთები. როგორც ჩანს, ეს გახლდათ ერთგვარი წინა

ციხე, რომელიც მთავარ ნაგებობამდეა აგებული. ის, რომ დამოუკიდებლად, ციტადელიდან 20-25 მეტრის მოშორებით, ოდნავ ქვემოთ აგებულია აღნიშნული მცირე მოცულობის სათავსთა ჯგუფი, გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს წინა ციხესთან ან რაიმე სხვა დანიშნულების სათავსთა წრესთან და არა გალავანთან თუ ქვედა ციხესთან, რომელიც მთელ ციტადელს უნდა შემოსდევდეს. ესაა საშუალო და დიდი ზომის ლოდების მშრალი წესით აგებული კედლების ნაშთები, რომლებიც თავის დროზე რამდენიმე ნაგებობას აერთიანებდა. კედლების სისქე დაახლოებით 2-2.5 მეტრია, ხოლო შემორჩენილი სიმაღლეები ამ შემთხვევაში საკმაოდ დაბალია - 0.5-0.7 მეტრი. ის, რომ აღნიშნული მცირე ჯგუფი შენობებისა ზედა ციხის წინა ნაწილს, წინა ციხეს წარმოადგენდა, იმითაც დასტურდება, რომ ციტადელის სიმაგრეს შესასვლელი სწორედ ამ მხარეს აქვს და მხოლოდ ამ უკანასკნელის გავლის შემდგომ მივადგებით მთავარი სიმაგრის შესასვლელს. ცხადია, ამჟამად შესვლა ყველა მხრიდან შესაძლებელია, რადგან ნაგებობის კედლები ძლიერაა დაშლილი, მაგრამ თავის დროზე, როდესაც ციხე ფუნქციონირებდა, ყველა სხვა მხარე ჩაკეტილი იქნებოდა და შესაბამისად მასთან საკომუნიკაციო ერთერთი საშუალება წინა ციხის გზაზე გადიოდა. ჩვენთვის უცნობია თუ კონკრეტულად რა ფუნქციას ასრულებდა მოცემული ქვედა ბაქნის კომპლექსი ისევე, როგორც მისი ზუსტი გეგმარება და არქიტექტურის სივრცითი განვითარება.

როგორც აღვნიშნეთ მოცემული ძეგლის მთავარ ნაწილს უშუალოდ მთის თხემზე გაშლილი კომპლექსი წარმოადგენს, რომელსაც სრულად აქვს ათვისებული მთის მოსწორებული ზედაპირი. გეგმარების თვალსაზრისით ესაა წაგრძელებული ოვალი, რომლის მთავარი კედლებიც მშრალი წყობითაა შედგენილი და მათი სისქე დაახლოებით 2.5-2.7 მეტრია. ესაა საშუალო და დიდი ზომის ქვის ლოდებით აგებული კედლის შიდა და გარე წყობა, რომელთა შორის არსებული სივრცეც ამოვსებულია შედარებით წვრილი ქვის ნამტვრევებით. ლოდები დაუმუშავებელია და მათი ბუნებრივი მდგომარეობა ერთმანეთს ისეა მორგებული მშენებლობისას, რომ ქმნის საკმაოდ სუფთა და წესიერ წყობას. ნაგებობა თავისი მასშტაბით, განთავსების არეალით, სათავსთა გადანაწილების პრინციპითა და დაცულობის ხარისხით ძლიერ შთამბეჭდავად გამოიყურება. არქიტექტურული კომპლექსის მთავარი მახასიათებელი შეკრულობაა, რომელიც მეტწილად მიღწეულია ციტადელის მომფარგვლელი კედლებითა და მასზე ინტერიერის მხრიდან მიდგმული შენობების ურთიერთგადაჯაჭვულობით. ნაგებობის შიდა სივრცე, ციხის ტერიტორია გააზრებულია კომპლექსის მომფარგვლელი გალავნის სტრუქტურასთან კავშირში ისე, რომ ყველა მცირე თუ დიდი სათავსი, რომელიც შიდა ტერიტორიაზეა წარმოდგენილი გალავანსაა მიდგმული და მას მიუყვება. ამდენად ვღებულობთ დაახლოებით 20-25 შენობას, რომლებიც ერთმანეთს ებჯინება და ყველა მათგანის ზურგის კედლად გალავნის მომსაზღვრელი მასაა გამოყენებული. მოცემული დაგეგმარება კი გვაძლევს ერთგვარ მოედანს გალავნის ცენტრში, რომელიც შედარებით თავისუფალია. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსის შუაგულთან სიახლოვესაც ფიქსირდება კედლების ფრაგმენტები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის მაინც ნაგებობათაგან თავისუფალი, ერთგვარი შესაკრებელ საკომუნიკაციო არეა, ხოლო აქ მოცემული კედლის სტრუქტურები ტერასები და გზებია. კომპლექსის შიდა ტერიტორია, თავის განვითარებით, სავარაუდოდ ორ ძირითად უბნად უნდა დავყოთ, რომლებიც განაშენიანებისა და სიმაღლის ცვალებადობით ემიჯნება ერთმანეთს. ძეგლის ძირითადი შენობები მართკუთხა გეგმარებისაა, თუმცა გვხვდება წრიული გეგმარების, ქვევრის ფორმაზე ამოყვანილი, ზედაპირშევიწროვებული და ფართომუცლიანი სათავსებიც, რომლებიც სავარაუდოდ საყოფაცხოვრებო, სასურსათო შენობებია. ძირითადი ნაგებობები, მართკუთხა სათავსები შესასვლელებით შიდა ეზოს მხრიდან, აჩენს განცდას, რომ აქ არა მხოლოდ თავშესაფარი ციხესთან, არამედ მუდმივსაცხოვრებელი განაშენიანებასთან გვაქვს საქმე. მოცემული გეგმარება ციტადელისა, სათავსთა გადანაწილების პრინციპი, მათი ფორმები და ზომები აშკარად მიუთითებს მათ გამოყენებაზე საცხოვრებლად.

მიუხედავად კარგად შემორჩენილი კედლებისა, რომელთა დიდი ნაწილის სიმაღლე საშუალოდ დახლოებით 2-3 მეტრია, მაინც რთული დასადგენია ნაგებობის საერთო არქიტექტურული სახე და შესაბამისად მისი თარიღი - ეს საკითხები დამატებითი კვლევის საგანია. მიგვაჩნია, რომ განსხვავებით ამ რეგიონის მეგალითური ძეგლებისგან, მოცემული ნაგებობა შუა საუკუნოვან სისტემას უნდა წარმოადგენდეს, ან მინიმუმ, დროის ამ მონაკვეთშიც უნდა ყოფილიყო კომპლექსი ფუნქციურად დატვირთული.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნისა და ნაგებობების კედლები

ფოტო 3, 4. გალავნისა და ნაგებობების კედლები

ფოტო 5. გალავნის კედლები

ფოტო 6. წრიული სათავსი

ხიდირილიასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხიდირილიასი, თანამედროვე ხიზირილიასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hızırilyas, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მდინარის სანაპიროსთან, შედარებით მაღალ ბაქანზე, ზღვის დონიდან 1750 მეტრზე, ფრაგმენტულად იკითხება კედლის სტრუქტურები (40°08'38.68"N 42°13'35.70"E). ადგილზე მისვლა და მისი დეტალური შესწავლა ვერ მოხერხდა - ხელის შემშლელი ძირითადი ფაქტორი ადგილობრივი მოსახლეობა აღმოჩნდა, რომლებმაც

უარი განგვიცხადეს ძეგლთან მისასვლელი ერთადერთი გზით გავლაზე. მიუხედავად ამისა, მდინარის მეორე მხრიდან მოხერხდა შედარებით შორი დისტანციით მისი ფოტო-ფიქსაცია და გარკვეული დეტალების დადგენა.

საყურადღებოა, რომ კომპლექსი, მისი ნანგრევების განფენიდან გამომდინარე გრანდიოზული უნდა ყოფილიყო. მდინარის პირას, მაღალი, კლდოვანი მასივის ძირში არსებულ ბაზაზე განთავსებულია მასშტაბური კომპლექსი, რომლის განაშენიანებაც ამ წაგრძელებულ, ბუნებრივად ორი მხრიდან დაცულ, ტერიტორიას მოიცავს. ნაგებობათა დიდი ნაწილი დანგრეულია და ჩანს მხოლოდ მათი ერთი მხრის საფასადო კედლები, სადაც განირჩევა საშუალო და დიდი ზომის ქვის უდუღაბო წყობები. კომპლექსის საერთო გეგმარების ან მისი სრული ზომების დადგენა არსებული მონაცემებით შეუძლებელია, თუმცა ზოგადი სახით ჩვენ საქმე გვაქვს მჭიდროდ განაშენიანებულ ვრცელ მონაკვეთთან, რომლის სიგრძე დაახლოებით 180-200 მეტრი, ხოლო სიგანე 70-80 მეტრი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული პერიმეტრი მოიცავს, როგორც დიდი ზომის ლოდებით ნაგებ შენობათა ნაწილს, ასევე შედარებით მცირე ქვების წყობებით შედგენილ კედლებს. რამდენიმე მონაკვეთზე განირჩევა მასიური შესასვლელების სტრუქტურები, რომლებიც შედგენილია სამი დიდი ლოდისა და მათ თავზე ნაწყობი ქვებისგან - კარები შემდეგი სახითაა აგებული: შესასვლელის გვერდითი კედლების ერთიან, დიდი ზომის ლოდებს უჭირავთ, რომლებიც ვერტიკალურადაა აღმართული, ხოლო მათ თავზე, კარის შემკვრელად, ასევე მასიური, ერთიანი არქიტრავია გადებული. რამდენიმე ასეთი შესასვლელი იკითხება, ხოლო ნაწილზე შესასვლელის თავზე არსებული წყობაცაა შემორჩენილი. გარდა მოსწორებულ ბაქანზე განთავსებული ძირითადი ნაგებობებისა, მდინარის პირისაკენ დამრეც ფერდობზე გვხვდება კიდევ რამდენიმე შენობის კვალი, რომლებიც ერთგვარ ტერასებადაა განფენილი. თუკი კომპლექსს მარცხნიდან მარჯვნივ წავიკითხავთ, უკიდურეს მარცხენა მხარეს, განაშენიანების ბოლოს, შევნიშნავთ შედარებით იზოლირებულ, შემაღლებულ ბორცვს, რომლის ზედაპირიც ასევე სამშენებლო ნათშებითაა დაფარული. არსებული ბორცვის გეოგრაფიული განვითარება, მისი კედლების სტრუქტურების განფენა, სამშენებლო ტექნიკა და მასალა მიგვითითებს, რომ ეს ოვალური გეგმარების ციხის ნაშთი უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი ზომების თვალსაზრისით გაცილებით მცირეა, ვიდრე განხილული კომპლექსი. ბორცვის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 30x40 მეტრზე უნდა იყოს, ხოლო ნაგებობის ნაშთები სრულად შემოსდევს ბორცვის ბუნებრივ განვითარებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ კომპლექსი საუკუნეთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებელ სივრცეს წარმოადგენდა, მას დასჭირდებოდა თავშესაფარი შიდა თუ გარე მტრის შემოსევის შემთხვევაში. მოცემული მსჯელობით, ბორცვზე განთავსებული ეს, შედარებით მცირე ზომის, ციხე მხოლოდ მტრის შემოსევისაგან თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა.

საყურადღებია, რომ ხსენებული ოვალური გეგმარების საფორტიფიკაციო სისტემა კომპლექსის იმ მხარესაა განთავსებული, საიდანაც ყველაზე უფრო დაუცველია განაშენიანება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ მხარეს მდინარე, ხოლო მეორე მხარეს მაღალი, კლდოვანი მასივი, სრულებით მიუვალს ხდის კომპლექსს. ამასთანავე, მისასვლელი გზა განაშენიანების მარცხენა კიდიდან რთული უნდა ყოფილიყო, ხოლო ყველაზე დაუცველ მონაკვეთზე, მარჯვენა კიდესთან გამართულია სიმაგრე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოცემული კომპლექსის დეტალური შესწავლა ვერ ხერხდება და ჩვენთვის სრულებით უცნობია მისი მარცხენა კიდის მოწყობის თავისებურებები - არაა გამორიცხული, რომ ამ მონაკვეთზეც არსებობდეს თავდაცვისთვის განკუთვნილი ამა თუ იმ ტიპის სტრუქტურები.

კომპლექსი ისევე, როგორც დამოუკიდებლად მის კიდესთან აგებული ციხე დამატებით შესწავლას საჭიროებს, რათა დადგინდეს ერთი მხრივ, საერთო გეგმარება და არქიტექტურული ხასიათი, ხოლო მეორე მხრივ, მათი ფუნქციონირების დროითი დიაპაზონი.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი მეგალითურ ციხედ იხსენიებს.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნისა და შესასვლელის ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. გალავნისა და ნაგებობების კედლები

ხოშაბი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ხოშაბი, თანამედროვე დონერტაში, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Dönertaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით სოფლის მცხოვრებნი მიუთითებენ ნაეკლესიარს (40°12'10.72"N 42°08'50.84"E). ეკლესია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იქნა აფეთქებული და დაშლილი. მოცემული ტერიტორია აშკარად მოიცავს ნაგებობის კვალს, თუმცა რეალურად ხელშესახები არტეფაქტები არ ფიქსირდება. შემაღლებულ ბორცვზე, რომელიც სოფლის ხევს გაღმა მდებარეობს ჩანს ნაშალი, არეული ქვა-ღორღი, რაც შესაძლოა რეალურად ყოფილიყო ეკლესია. მოცემული ფაქტის დადასტურება მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების საშუალებით იქნება შესაძლებელი, რადგან მთელი საძირკველი მიწის ქვეშაა მოქცეული.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ეკლესიის ტერიტორია

ჰაიდარკომუ, სოფელთან დაფიქსირებული საფლავის ქვა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰაიდარკომუ, თანამედროვე ჰაიდარლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Haydarlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, შემორჩენილია წაგრძელებული, მართკუთხა ფორმის დიდი ზომის ლოდი (39°54'04.77"N 42°17'54.77"E), რომლის ზედა არეზეც ჯვარია ნაქანდაკევი. სიბრტყის ერთი ნაწილი, მისი ქვედა მონაკვეთი ცარიელია, ხოლო ზედა ნაწილში მოცემულია მართკუთხა ფორმისავე ჩაღრმავება, ფონი, რომლის სივრცეშიც გამოჭრილია ვერტიკალზე წაგრძელებული ჯვარი მართკუთხა ბაზისით. აღსანიშნავია, რომ თავად ბაზისი არაა მოქცეული მოჩარჩოებაში - ის სცდება ჩარჩოს ქვედა ზოლს და გადის მის ფარგლებს გარეთ. ხოლო თავად ჯვრის ვერტიკალური და მოკლე ჰორიზონტალური მკლავები მართკუთხა, თავმომრგვალებული მოჩარჩოების არეალში ექცევა. ქვის ფორმისა და ზომის, მასზე არსებული გამოსახულების თუ საერთო გადაწყვეტის მიხედვით, დიდი ალბათობით, ჩვენ საქმე გვაქვს საფლავის მემორიალურ ძეგლთან, თუმცა დასაშვებად მიგვაჩნია მისი განხილვა ერთგვარ „ნიშნად“, ქვაჯვარის ვარიაციადაც. რელიეფური გამოსახულება ჯვრისა და მისი საერთო გადაწყვეტა არქაულობის ნიშნებს ატარებს და არ უნდა იყოს XVIII საუკუნეზე გვიანდელი. ამგვარი ტიპის საფლავის ქვები საქართველოშიც ფიქსირდება და მათი ზოგადი სახით დათარიღებისთვის მიღებულია XIII საუკუნის შემდგომი ხანები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ზუსტი ფუნქციისა და დროითი ინტერვალის დადგენა რთულია.

ფოტო 1, 2. საფლავის ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით

ფოტო 3, 4. ქვის ბუდე

ჰაიდარკომუ სუფლა, სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰაიდარკომუ სუფლა, თანამედროვე იაილაჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yaylacık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ტერიტორიაზე ფიქსირდება დიდი ზომის ჯვრიანი ქვა (39°54'44.09"N 42°18'05.10"E), რომელიც ადგილობრივთა თქმით, ადრე ნაგებობათა შემადგენლობაში იყო მოქცეული. სამწუხაროდ დღეს ეს ნაგებობები არ არსებობს, თუმცა შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების მცირე ნაშთები. არსებული ჯვრიანი ქვის მიხედვით, ძნელი სავარაუდოა მისი არქიტექრუტული ნაგებობისადმი კუთვნილება. ჯვრიანი ქვა შეიძლება ყოფილიყო ჩართული რაიმე არქიტექტურული შენობის სივრცეში, თუმცა ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. ესაა მართკუთხა ფორმის ქვის ზედაპირზე არსებული მართკუთხა მოჩარჩოებაშივე მოქცეული ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით არ ავლენს ოსტატობის მაღალ დონეს - გარდა ამისა, ტექნიკურადაც დაბალ დონეზეა შესრულებული. მართკუთხა მოჩარჩოება ქვის ზედაპირის საერთო სიბრტყიდან ჩაკვეთილია, ხოლო თავად ჯვრის მკლავები ზედაპირის დონეზეა გასწორებული. სადღეისოდ ქვის ეს ბლოკი მოგვიანოდ აშენებული სახლის საძირკვლის დონეზე, ერთგვარ ცოკოლადაა ჩაშენებული.

ფოტო 1, 2. ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით

ჰასანბეი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰასანბეი, თანამედროვე ჰასანბეი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hasanbey, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით მაღალი მთის თავზე მდებარეობს (39°55'42.05"N 42°28'25.01"E). ზღვის დონიდან 2490 მეტრის სიმაღლეზე - მაღალი, რთულად მისასვლელი კლდის თავზე განთავსებულია თავდაცვითი ნაგებობის ნაშთები. აღნიშნული მთა, რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელიც ფართო ხედით მოიხილავს ირგვლივ მდებარე ხეობებს. თავისთავად კლდოვანი მასივი, თავისი გამორჩეული მდებარეობის გარდა ხასიათდება მიუვალობით, რაც თავდაცვით თუ სამოსახლო სივრცისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საუკუნეების განმავლობაში.

ძეგლი ძლიერაა დაზიანებული - გარდა დროისა და ბუნებრივი, კლიმატური პირობებისა, საყურადღებოა განძის მაძიებელთა მიერ გადათხრილი მონაკვეთები, რომლებიც მნიშვნელოვან წილად აზიანებს კულტურულ ფენებს. ადგილზე გვხვდება რამდენიმე, დიდი ზომის თხრილი, რომელთა ნაყარშიც უხვად იხილვება კერამიკული ნაწარმი. უშუალოდ განაშენიანება, სამშენებლო სტრუქტურები და ფენები განირჩევა მთის თხემზე და მის ქვედა ფერდებზე. მოცემული ობიექტის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ კომპლექსურ და მასშტაბურ მშენებლობასთან, რომელიც შემორჩენილი ნაწილებისა და ფრაგმენტების მიხედვით (მათ შორის კერამიკული ნაწარმის ნამტვრევები) სიცოცხლისუნარიანობის საკმაოდ ვრცელ პერიოდს უნდა მოიცავდეს, თუმცა ძირითადი კონცენტრაცია მაინც შუა საუკუნეებზე მოდის.

კლდოვანი მასის ბუნებრივი განვითარების მიხედვით გვხვდება განაშენიანების მონაკვეთები. სხვადასხვა არეზე, სადაც კლდოვანი მასივი მცირე მოვაკებას, ბაქანს იკეთებს, მოცემულია მცირე სათავსთა შემადგენელი წყობის დაშლილი ნაკვეთები. ამ ტიპის მცირე წყობის სტრუქტურები გვხვდება მთის სხვადასხვა არეზე, მთელ მის პერიმეტრზე, ხოლო ძირითადი სამშენებლო-არქიტექტურული ბირთვი - ციტადელი, ცხადია მთის თხემზეა განთავსებული, რომელიც საკმაოდ მცირე ფართობისაა. კლდოვანი მასივის თავზე არსებული სამშენებლო ფენები სიგრძე-სიგანით დაახლოებით 30x40 მეტრიან მოვაკებაზეა გაშლილი. არსებული კედლის ნაშთების მიხედვით, რომლებიც დიდწილად მცენარეული საფარის ქვეშაა მოქცეული, ირკვევა, რომ ციტადელი რამდენიმე სათავსისგან შედგებოდა, რომლებიც ნაშენია საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვით. განსხვავებით ზედა ციხისგან, ფერდობების, ადგილ-ადგილ შენიშნული, კედლების სტრუქტურები შედარებით უფრო დიდი ზომის ქვის ნატეხებით იყო გამართული, რაც შესაძლოა სხვადასხვა სამშენებლო პერიოდს გულისხმობს. კდლოვანი მასივის ერთ მხარეს, ციცაბო მონაკვეთზე, საშუალო ზომის კლდეში ნაკვეთი ქვაბულია, რომლის ადგილზე მონახულებაც, მიუვალი ბუნებრივი გარემო-პირობების გამო, ვერ მოხერხდა.

მთის ციტადელზე და სხვადასხვა მხარეს არსებულ მცირე ბაქნებზე უხვადაა მიმობნეული კერამიკული ნაწარმის ნამტვრევები. ჩანს, როგორც დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული სხვადასხვა ნივთის ფრაგმენტები, ისე მოჭიქული კერამიკის ნაწილებიც. არსებული არტეფაქტების შესახებ რაიმე მოსაზრების გამოთქმა ჭირს - საჭიროა დამატებითი კვლევები, თუმცა პირველადი დაკვირვებით ჩვენ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების კერამიკულ ჭურჭელთან. რაც შეეხება უშუალოდ ციხის სამშენებლო ფენებს, აქ განირჩევა როგორც შუა საუკუნეების სამშენებლო პერიოდი, ასევე სავარაუდოა უფრო ადრეული შრეებიც, რაც ლოგიკურია კლდოვანი მასის ბუნებრივი მდებარეობის გათვალისწინებით.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან და შუა საუკუნეების სიმაგრესთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის მდებარეობა (Google Earth)

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. ციტადელის ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. ტერიტორიის საერთო ხედები

ფოტო 5, 6. პერიმეტრზე არსებული კერამიკის ფრაგმენტები

დანართი. ისტორიული ბასიანის სოფლების ჩამონათვალი

დანართში მოყვანილია ისტორიული ბასიანის ყველა სოფელი, რომელიც ამჟამად თანამედროვე ერზურუმის პროვინციის სამ ადმინისტრაციულ ერთეულს (რაიონს) წარმოადგენს – ფასინლერის რაიონი, ქოფრუქოის რაიონი და ჰორასანის რაიონი. ისტორიული სოფლების სახელწოდებები ძირითად შემთხვევაში მოყვანილია ჩვენთვის ცნობილი ლიტერატურიდან და შეჯერებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. დანართში, აგრეთვე მოყვანილია სოფლების სახელწოდებების სხვა ვერსიები, რომლებიც ფიქსირდება ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

P.S. წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ჰორასანის რაიონის კულტურის ძეგლები, თუმცა დანართში მოცემულია სამივე რაიონის სოფლების ჩამონათვალი, რომელიც განახლებულია და განსხვავებულია ბასიანის ძეგლების 2022 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიშში მოყვანილი დანართისგან.

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
1	ავდო კომუ	ათაქოი, ქოფრუქოის რაიონი (Ataköy, Köprüköy İlçesi)	აბდიკანი
2	ავნიკი	გუზელჰისარი, ქოფრუქოის რაიონი (Güzelhisar, Köprüköy İlçesi)	ავინგა, ავნიგ, ავნიკონ
3	აზაბი	აზაპი, ჰორასანის რაიონი (Azap, Horasan İlçesi)	
4	აკბაბა (მეზრა)	აკბაბა (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Akbaba (Mezra), Köprüköy İlçesi)	
5	აკსიკომსი	დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი (Demirdöven, Pasinler İlçesi)	სურბეჰანი
6	აკფინარი	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	
7	ალაგიოზი	ალაგიოზი, ჰორასანის რაიონი (Alagöz, Horasan İlçesi)	
8	ალაქილისე	იეშილდერე, ჰორასანის რაიონი (Yeşildere, Horasan İlçesi)	იატიკსირთი
9	ალაჯა	ალაჯა, ქოფრუქოის რაიონი (Alaca, Köprüköy İlçesi)	
10	ალვარი	ალვარი, ფასინლერის რაიონი (Alvar, Pasinler İlçesi)	
11	ანდაკა	იარბოღაზი, ჰორასანის რაიონი (Yarboğaz, Horasan İlçesi)	ანტაკი, ენდეკი
12	არდი	არდი, ჰორასანის რაიონი (Ardı, Horasan İlçesi)	
13	არდოსტი	დეღირმენლერი, ჰორასანის რაიონი (Değirmenler, Horasan İlçesi)	არდოსი
14	არტიფი	ოთლუქქაფი, ფასინლერის რაიონი (Otlukkapı, Pasinler İlçesi)	ხერტევი, ხერტივი
15	არუჩაქრაგი	ალიჩეირეკი, ჰორასანის რაიონი (Aliçeyrek, Horasan İlçesi)	ალიჯექრექი, აშკირაგი, ალუჩაქრაგი
16	არფაჩაირი	არფაჩაირი, ჰორასანის რაიონი (Arpaçayır, Horasan İlçesi)	
17	არჯი	აჯი, ფასინლერის რაიონი (Acı, Pasinler İlçesi)	აჯი
18	აღაკომი (მეზრა)	აღაკომი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Ağakom (Mezra), Köprüköy İlçesi)	
19	აღზეჰირი	თაშლიიურთი, ფასინლერის რაიონი (Taşlıyurt, Pasinler İlçesi)	აღზიჰირი
20	აღულლუ	აღილლი, ჰორასანის რაიონი (Ağıllı, Horasan İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
21	აღუქირანი	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	აკქირანი, მეშეჯიკი
22	აღჯალარი	აღჯალარი, ფასინლერის რაიონი (Ağcalar, Pasinler İlçesi)	
23	ახა	კავუშტურანი, ფასინლერის რაიონი (Kavuşturan, Pasinler İlçesi)	
24	ახალიქი ულია	იუქარიბადემიოზუ, ჰორასანის რაიონი (Yukarıbademözü, Horasan İlçesi)	
25	ახალიქი სუფლა	აშაღიბადემიოზუ, ჰორასანის რაიონი	ახალიქი სუფლა
26	ბადიჯუინი	ესენდერე, ფასინლერის რაიონი (Esendere, Pasinler İlçesi)	ბადიჯვანი, ბადიჟვანი, ბადიჩილვანი
27	ბალდიზი	ბალდიზი, ფასინლერის რაიონი (Baldızı, Pasinler İlçesi)	
28	ბასიანი	ფასინლერი (ქ.), ფასინლერის რაიონი (Pasinler (Şehir), Pasinler İlçesi)	ფასიანოი, ფასეანქი, ვაღარშავანი, ჰასანაბადი, ფასინ ულია, ჰასანკალე.
29	ბაშვირანი	ბაშიორენი, ფასინლერის რაიონი (Başören, Pasinler İlçesi)	
30	ბედრევანქი	იურუქათლი, ჰორასანის რაიონი (Yürükatlı, Horasan İlçesi)	ბედრევანსი, ბედრევანცი
31	გენჩაღა ჩიფტლიღი	ჩიფტლიკი, ჰორასანის რაიონი (Çiftlik, Horasan İlçesi)	
32	გერდეკკაია	გერდეკკაია, ფასინლერის რაიონი (Gerdekkaya, Pasinler İlçesi)	
33	გერეკი	გერეკი, ჰორასანის რაიონი (Gerek, Horasan İlçesi)	ქერექი
34	გეჯიკი	ილდირანი, ჰორასანის რაიონი (Yıldıran, Horasan İlçesi)	
35	გოზელერი (მეზრა)	გოზელერი (მეზრა), ფასინლერის რაიონი (Gözeler (Mezra), Pasinler İlçesi)	
36	გოლჯიღეზი	გოლჯიღეზი, ფასინლერის რაიონი (Gölciğez, Pasinler İlçesi)	
37	გოქჩეჰარმანი (მეზრა)	გოქჩეჰარმანი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Gökçeharman (Mezra), Köprüköy İlçesi)	
38	დელიბაბა	არასი, ჰორასანის რაიონი (Aras, Horasan İlçesi)	ველიბაბა
39	დელილერი	იღიტფინარი, ფასინლერის რაიონი (Yiğitpınarı, Pasinler İlçesi)	
40	დიშლიკაია (მეზრა)	დიშლიკაია (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Dişlikaya (Mezra), Köprüköy İlçesi)	
41	დოდი	ქემერლი, ჰორასანის რაიონი (Kemerli, Horasan İlçesi)	თოთი
42	დოლლექი	დოლლექი, ჰორასანის რაიონი (Döllek, Horasan İlçesi)	
43	ეზირმიკი	ოვაქოი, ფასინლერის რაიონი (Ovaköy, Pasinler İlçesi)	იზელმიკი, იეზერმეკი
44	ეიუფლერი	ეიუფლერი, ქოფრუქოის რაიონი (Eyüpler, Köprüköy İlçesi)	
45	ემრეკომი	ემრე, ქოფრუქოის რაიონი (Emre, Köprüköy İlçesi)	ამრაკომი

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
46	ერენჯიკი (მეზრა)	ერენჯიკი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Erencik (Mezra), Köprüköy İlçesi)	
47	ეფსემჯე	ეფსემჯე, ფასინლერის რაიონი (Epsemce, Pasinler İlçesi)	
48	ექრექი	გიოლჩაირი, ქოფრუქოის რაიონი (Gölçayır, Köprüköy İlçesi)	
49	ეღერტაში	ეღერტაშლარი, ჰორასანის რაიონი (Eğertaşlar, Horasan İlçesi)	
50	ეშეკილიასი	აშაღი აკტაში, ჰორასანის რაიონი (AşağıAktaş, Horasan İlçesi)	
51	ვანასორი	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	
52	ვაღავერი	დუმანკაია, ქოფრუქოის რაიონი (Dumankaya, Köprüköy İlçesi)	
53	ზარსი	დალბაში, ჰორასანის რაიონი (Dalbaşı, Horasan İlçesi)	
54	ზემო დანიშმენდი	იუქარიდანიშმენტი, ფასინლერის რაიონი (Yukarıdanişment, Pasinler İlçesi)	
55	ზემო კალბულასი	იაილადაღი, ფასინლერის რაიონი (Yayladağ, Pasinler İlçesi)	ზემო გალბულასი
56	ზემო კარაკალე	კარაკალე, ფასინლერის რაიონი (Karakale, Pasinler İlçesi)	
57	ზემო კიზილკალე	იუქარიკიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი (Yukarıkızılkale, Köprüköy İlçesi)	კიზილკალე ულია
58	ზემო კიზილჯა	იუქარიკიზილჯა, ქოფრუქოის რაიონი (Yukarıkızılca, Köprüköy İlçesi)	
59	ზემო სოღუდლუ	იუქარისოღუთლუ, ქოფრუქოის რაიონი (Yukarısöğütlü, Köprüköy İlçesi)	
60	ზემო სოღუთლუ	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	სოღუთლუ ულია
61	ზემო ტაიჰოჯა	იუქარიტაჰირჰოჯა, ჰორასანის რაიონი (Yukarıtahirhoca, Horasan İlçesi)	
62	ზემო ჩაქმაქი	იუქარიჩაქმაქი, ფასინლერის რაიონი (Yukarıçakmak, Pasinler İlçesi)	
63	თავშანჯიკი	თავშანჯიკი, ჰორასანის რაიონი (Tavşancık, Horasan İlçesi)	
64	თეკნეჯიკი	თეკნეჯიკი, ჰორასანის რაიონი (Teknecik, Horasan İlçesi)	
65	თენზილე	დერებაში, ქოფრუქოის რაიონი (Derebaşı, Köprüköy İlçesi)	
66	თეფეჯიკი	თეფეჯიკი, ფასინლერის რაიონი (Tepecik, Pasinler İlçesi)	
67	თიზგი	აშიტლარი, ფასინლერის რაიონი (Aşıtlar, Pasinler İlçesi)	
68	თიმარ იაილასი	იაილა, ფასინლერის რაიონი (Yayla, Pasinler İlçesi)	
69	თიმარი	თიმარი, ფასინლერის რაიონი (Tımar, Pasinler İlçesi)	
70	თოდავირანი	ქუქურთლუ, ჰორასანის რაიონი (Kükürtlü, Horasan İlçesi)	თოთავერანი

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
71	თორთანი	უზუნარკი, ფასინლერის რაიონი (Uzunark, Pasinler İlçesi)	
72	თოფჩუ	თოფჩუ, ქოფრუქოის რაიონი (Topçu, Köprüköy İlçesi)	
73	იაზილიტაში	იაზილიტაში, ჰორასანის რაიონი (Yazılıtaş, Horasan İlçesi)	
74	იაღანი	იაღანი (უბანი), ქოფრუქოის რაიონი (Yağan (Mahallesi), Köprüköy İlçesi)	
75	იეკაბადი	ჩაკირტაში, ფასინლერის რაიონი (Çakırtaş, Pasinler İlçesi)	ეკეზადი
76	იემლიკი	იემლიკი, ქოფრუქოის რაიონი (Yemlik, Köprüköy İlçesi)	
77	იენიქოი	იენიქოი, ფასინლერის რაიონი (Yeniköy, Pasinler İlçesi)	
78	ილანლი	ილანლი, ქოფრუქოის რაიონი (Yılanlı, Köprüköy İlçesi)	
79	ილიმი	ჩაირდიუზუ, ჰორასანის რაიონი (Çayırdüzü, Horasan İlçesi)	
80	იუზვირანი	იუზორენი, ჰორასანის რაიონი (Yüzören, Horasan İlçesi)	
81	იღდელი	იღდელი, ჰორასანის რაიონი (İğdeli, Horasan İlçesi)	
82	იღირბიღირი	იღირბიღირი, ჰორასანის რაიონი (Iğırbığır, Horasan İlçesi)	ეხირბეხირი, იეშილიურტი
83	იშკი	აღჯაშარი, ქოფრუქოის რაიონი (Ağcaşar, Köprüköy İlçesi)	იშხუ
84	კადიჯელალი	კადიჯელალი, ჰორასანის რაიონი (Kadıcelal, Horasan İlçesi)	
85	კაინარჯა	კაინარჯა, ჰორასანის რაიონი (Kaynarca, Horasan İlçesi)	
86	კალბულასი	იეშილიოზი, ჰორასანის რაიონი (Yeşilöz, Horasan İlçesi)	გალბულასი
87	კალენდერი	კალენდერი, ჰორასანის რაიონი (Kalender, Horasan İlçesi)	
88	კანატლი (მეზრა)	კანატლი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Kanatlı (Mezra), Köprüköy İlçesi)	
89	კანტარკაია	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	
90	კარაბიიკი	კარაბიიკი, ჰორასანის რაიონი (Karabıyık, Horasan İlçesi)	
91	კარაველეთი	კარაველეთი, ფასინლერის რაიონი (Karavelet, Pasinler İlçesi)	კარაველედი
92	კარაკილისე	ინჯესუ, ჰორასანის რაიონი (Incesu, Horasan İlçesi)	
93	კარაკოჩი	ქოფრუქოის რაიონი (Köprüköy İlçesi)	
94	კარაკოჩი (მეზრა)	კარაკოჩი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Karakoç (Mezra), Köprüköy İlçesi)	
95	კარაფინარი (მეზრა)	კარაფინარი (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Karapınar (Mezra), Köprüköy İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
96	კარაჩუკა	კარაჩუჰა, ჰორასანის რაიონი (Karaçuha, Horasan İlçesi)	
97	კარაჯავირანი	კარაჯაიორენი, ჰორასანის რაიონი (Karacaören, Horasan İlçesi)	
98	კეპენეკი	კეპენეკი, ჰორასანის რაიონი (Kepenek, Horasan İlçesi)	
99	კერინკარი	კაიაბაში, ქოფრუქოის რაიონი (Kayabaşı, Köprüköy İlçesi)	
100	კიზილვირანი	კიზილიორენი, ფასინლერის რაიონი (Kızılören, Pasinler İlçesi)	
101	კიზილჯა სუფლა	კიზილჯა, ჰორასანის რაიონი (Kızılca, Horasan İlçesi)	აშაღიკიზილჯა
102	კიზლარკალე	კიზლარკალე, ჰორასანის რაიონი (Kızlarkale, Horasan İlçesi)	
103	კინდეღი	ალთინბაშაკი, ფასინლერის რაიონი (Altınbaşak, Pasinler İlçesi)	გინდეღი
104	კინდიგოთი	ქოფრუქოის რაიონი Köprüköy İlçesi)	კინდაგუთი, კინდიღუთი
105	კირეჩლი კომუ	კირეჩლი (მეზრა), ფასინლერის რაიონი (Kireçli (Mezra), Pasinler İlçesi)	
106	კირიკი	კირიკი, ჰორასანის რაიონი (Kırık, Horasan İlçesi)	
107	კომაცორი	ქირქგოზელერი, ჰორასანის რაიონი (Kırkgözeler, Horasan İlçesi)	კომასორი
108	კორუჯუკი	შეჰიტ ბურაკ კარაკოჩი, ფასინლერის რაიონი (Şehit burak karakoç, Pasinler İlçesi)	
109	კულუჩი	ტაჰირჰოჯა, ჰორასანის რაიონი (Tahirhoca, Horasan İlçesi)	ტაიჰოჯა სუფლა, აშაღიტაჰირჰოჯა
110	მალი კომუ	პელიტლი, ფასინლერის რაიონი (Pelitli, Pasinler İlçesi)	მანუკომი
111	მარიფეთი	მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი (Marifet, Köprüköy İlçesi)	
112	მასლაჰათი	მურატბაღი, ჰორასანის რაიონი (Muratbağı, Horasan İlçesi)	კუტლუტაში
113	მასრა	გუზელიაილა, ჰორასანის რაიონი (Güzelyayla, Horasan İlçesi)	
114	მაღარაჯიკი	ჰორასანის რაიონი (Mağaracık, Horasan İlçesi)	
115	მენდევანი	ბუღდაილი, ქოფრუქოის რაიონი (Buğdaylı, Köprüköy İlçesi)	
116	მენევიურთი	ქუჩუქკონაკი, ჰორასანის რაიონი (Küçükkonak, Horasan İlçesi)	
117	მესჯითლი	სოილემეზი, ქოფრუქოის რაიონი (Söylemez, Köprüköy İlçesi)	
118	მეჯელდი	ოვენლერი, ფასინლერის რაიონი (Övenler, Pasinler İlçesi)	მუჯელდი
119	მიადინი	არდიჩლი, ფასინლერის რაიონი (Ardıçlı, Pasinler İlçesi)	მიიადინი / Miyadin
120	მიგნარინჩი	ბუიუქდერე, ფასინლერის რაიონი (Büyükdere, Pasinler İlçesi)	კირნუჩი

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
121	მიშკი	ფინარლი, ჰორასანის რაიონი (Pınarlı, Horasan İlçesi)	
122	მოლააჰმეტი	მოლააჰმეტი, ჰორასანის რაიონი (Mollaahmet, Horasan İlçesi)	
123	მოლამელიქი	მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი (Mollamelik, Horasan İlçesi)	
124	ონკომი	უღუმუ, ფასინლერის რაიონი (Üğümü, Pasinler İlçesi)	ოგომი
125	ორდუზუ	ჩიჩეკლი, ფასინლერის რაიონი (Çiçekli, Pasinler İlçesi)	ორტუზი
126	პაზაჩური	ორთაკლარი, ქოფრუქოის რაიონი (Ortaklar, Köprüköy İlçesi)	
127	პატარა ტუ	ქუჩუქტუი, ფასინლერის რაიონი (Küçüktuy, Pasinler İlçesi)	ორტორუ, ვორტორუ
128	პერტაგი	საკსი, ფასინლერის რაიონი (Saksı, Pasinler İlçesi)	პერტეკი
129	პინადუზი	დიქილი, ჰორასანის რაიონი (Dikili, Horasan İlçesi)	პინატუზი
130	პირალი	პირალი, ჰორასანის რაიონი (Pirali, Horasan İlçesi)	
131	პირჰასანი	პირჰასანი, ჰორასანის რაიონი (Pirhasan, Horasan İlçesi)	
132	პორსუკი	პორსუკი, ფასინლერის რაიონი (Porsuk, Pasinler İlçesi)	
133	რაბათი	ჩალიიაზი, ფასინლერის რაიონი (Çalıyazı, Pasinler İlçesi)	
134	სალქორი / Salkori	ჰორასანის რაიონი (Okçular, Horasan İlçesi)	სერქური / Serküri
135	სანამერი	ჰაჯიაჰმეტი, ჰორასანის რაიონი (Hacıahmet, Horasan İlçesi)	კუშბურნუ
136	სანსორი	ტაშლიგუნეი, ფასინლერის რაიონი (Taşlıgüney, Pasinler İlçesi)	სანასორი
137	საჩლიკი	საჩლიკი, ჰორასანის რაიონი (Saçlık, Horasan İlçesi)	
138	სეიიდ ალ კომუ	დილეკი, ქოფრუქოის რაიონი (Dilek, Köprüköy İlçesi)	
139	სეკმანი	სეკმანი, ჰორასანის რაიონი (Sekman, Horasan İlçesi)	
140	სერჩებოღაზი	სერჩებოღაზი, ფასინლერის რაიონი (Serçeboğazı, Pasinler İlçesi)	
141	სითავუთი	ბაჰჩე, ჰორასანის რაიონი (Bahçe, Horasan İlçesi)	
142	სიჩანკალე სუფლა	ჩამლიკალე, ჰორასანის რაიონი (Çamlıkale, Horasan İlçesi)	აშაღიჩამლიკალე
143	სოსი	იღიტტაში, ფასინლერის რაიონი (Yiğittaşı, Pasinler İlçesi)	
144	სულუგუ	ეღირმეზი, ქოფრუქოის რაიონი (Eğirmez, Köprüköy İlçesi)	სულუგი
145	სურბოღანი	იორენტაში, ქოფრუქოის რაიონი (Örentaş, Köprüköy İlçesi)	ჰარაბე სურბეჰანი

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
146	ტაფტიქერი	სავათლი, ქოფრუქოის რაიონი (Savatlı, Köprüköy İlçesi)	
147	ტაღუნსი	კარატაშლარი, ქოფრუქოის რაიონი (Karataşlar, Köprüköy İlçesi)	ტავონისი, ტავონცი
148	ტაშდელენი	ჰორასანის რაიონი (Taşdelen, Horasan İlçesi)	
149	ულკასიმი	ბულკასიმი, ფასინლერის რაიონი (Bulkasim, Pasinler İlçesi)	ბულღასიმი
150	უტუ	ბუიუქტუი, ფასინლერის რაიონი (Büyüktuy, Pasinler İlçesi)	ტუ
151	ფექეჯიკი	ფექეჯიკი, ქოფრუქოის რაიონი (Pekecik, Köprüköy İlçesi)	ფაგოჯუკი
152	ფისიანლი კომუ	იავუზლუ, ფასინლერის რაიონი (Yavuzlu, Pasinler İlçesi)	
153	ფისიკლი	დუათეფე, ქოფრუქოის რაიონი (Duatepe, Köprüköy İlçesi)	
154	ფლური	სუნაკი, ფასინლერის რაიონი (Sunak, Pasinler İlçesi)	ფულური
155	ფორიგი (ნასოფლარი)	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	
156	ფუსუდერე	ფუსუდერე, ფასინლერის რაიონი (Pusudere, Pasinler İlçesi)	
157	ქეთვანი	იასტიკთეფე, ფასინლერის რაიონი (Yastıktepe, Pasinler İlçesi)	ქეთივან
158	ქეივანქი	ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი (Taşkaynak, Pasinler İlçesi)	ქეღვანქი
159	ქვემო დანიშმენდი	დანიშმენტი, ჰორასანის რაიონი (Danişment, Horasan İlçesi)	
160	ქვემო კიზილკალე	აშაღიკიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი (Aşağıkızılkale, Köprüköy İlçesi)	კიზილკალე სუფლა
161	ქვემო ჩაკმაკი	აშაღიჩაკმაკი, ქოფრუქოის რაიონი (Aşağıçakmak, Köprüköy İlçesi)	
162	ქირთაბოზი	კიიკონაკი, ქოფრუქოის რაიონი (Kıyıkonak, Köprüköy İlçesi)	ქართაბაზი
163	ქოთანდიუზუ	ქოთანდიუზუ, ფასინლერის რაიონი (Kotandüzü, Pasinler İlçesi)	
164	ქოფრუქოი	ქოფრუქოი (ქ.), ქოფრუქოის რაიონი (Köprüköy (Şehir), Köprüköy İlçesi)	გამურჩი, ჩობანდედე ქოფრუსუ
165	ქურთ ქალმაზი	სარიტაში, ქოფრუქოის რაიონი (Sarıtaş, Köprüköy İlçesi)	
166	ღოჯირ კომუ	გეიკლი, ქოფრუქოის რაიონი (Geyikli, Köprüköy İlçesi)	
167	შეიხიუსუფი	შეიხიუსუფი, ჰორასანის რაიონი (Şeyhyusuf, Horasan İlçesi)	
168	ჩამლიჯა კომუ	ჩამლიჯა, ფასინლერის რაიონი (Çamlıca, Pasinler İlçesi)	
169	ჩამურლი	ჩამურლუ, ჰორასანის რაიონი (Çamurlu, Horasan İlçesi)	
170	ჩერმიკსუ	ილიჯასუ, ქოფრუქოის რაიონი (Ilıcasu, Köprüköy İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
171	ჩოღენდერი	ჩოღენდერი, ფასინლერის რაიონი (Çöğender, Pasinler İlçesi)	
172	ჩულლუ	ჩულლუ, ქოფრუქოის რაიონი (Çullu, Köprüköy İlçesi)	
173	ძანძაღი	აქჩატაში, ჰორასანის რაიონი (Akçataş, Horasan İlçesi)	ზანზაკი
174	ხანეგე	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	გიოქჩე
175	ხაჩლი	ხარჩლი, ჰორასანის რაიონი (Harçlı, Horasan İlçesi)	ხაჩლუ
176	ჰესინკარი	სოუკსუ, ქოფრუქოის რაიონი (Soğuksu, Köprüköy İlçesi)	ჰარსენკარი
177	ხიდირილიასი	ხიზირილიასი, ჰორასანის რაიონი (Hızırilyas, Horasan İlçesi)	
178	ხოდიგი	ბულგურლუ, ჰორასანის რაიონი (Bulgurlu, Horasan İlçesi)	ხადიკი
179	ხოზევანისი	აკჩამი, ქოფრუქოის რაიონი (Akçam, Köprüköy İlçesi)	
180	ხორასანი	ჰორასანი (ქ.), ჰორასანის რაიონი (Horasan (Şehir), Horasan İlçesi)	ფასინი სუფლა
181	ხორომი ულია	ჰორასანის რაიონი (Yukarıhorum, Horasan İlçesi)	
182	ხოსრავერანი	აქჩათოფრაკი, ჰორასანის რაიონი (Akçatoprak, Horasan İlçesi)	ხოსროვერანი
183	ხოტიკი	იუქარიაკტაში, ჰორასანის რაიონი (Yukarıaktaş, Horasan İlçesi)	
184	ხოფიკი	იაფაღილი, ქოფრუქოის რაიონი (Yapağılı, Köprüköy İlçesi)	
185	ხოშაბი	დონერტაში, ჰორასანის რაიონი (Dönertaş, Horasan İlçesi)	ხოშოვი
186	ჯიჯექრექი	გუნდეღერი, ჰორასანის რაიონი (Gundeğer, Horasan İlçesi)	ჯიჯაქრაგი
187	ჰაიდარკომუ	ჰაიდარლი, ჰორასანის რაიონი (Haydarlı, Horasan İlçesi)	
188	ჰაიდარკომუ სუფლა	იაილაჯიკი, ჰორასანის რაიონი (Yaylacık, Horasan İlçesi)	
189	ჰაიქურდი	კევენლიკი, ფასინლერის რაიონი (Kevenlik, Pasinler İlçesi)	
190	ჰამიდინ კომუ	ტაშაღილი, ფასინლერის რაიონი (Taşağıl, Pasinler İlçesi)	გომა ლაზა
191	ჰანაჰმეტი	ჰანაჰმეტი, ფასინლერის რაიონი (Hanahmet, Pasinler İlçesi)	
192	ჰარასუნი	ქირქლარი, ჰორასანის რაიონი (Kırklar, Horasan İlçesi)	ჯირასუნი
193	ჰასანაღა (მეზრა)	ჰასანაღა (მეზრა), ქოფრუქოის რაიონი (Hasanağa (Mezra), Köprüköy İlçesi)	ესად ბეი კომუ
194	ჰასანბეი	ჰასანბეი, ჰორასანის რაიონი (Hasanbey, Horasan İlçesi)	
195	ჰაჯიჰალილი	ჰაჯიჰალილი, ჰორასანის რაიონი (Hacıhalil, Horasan İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
196	ჰერანი	ქირქდიქმე, ჰორასანის რაიონი (Kırkdikme, Horasan İlçesi)	
197	ჰიზარდერე	ჰიზარდერე, ჰორასანის რაიონი (Hızardere, Horasan İlçesi)	
198	ჰინცკი	კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი (Kurbançayırı, Pasinler İlçesi)	ჰინსი
199	ჰომიგი	იეშილოზი, ქოფრუქოის რაიონი (Yeşilöz, Köprüköy İlçesi)	

ლიტერატურა

ბასიანის ძეგლების 2022 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში (2023) ექსპედიციის ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. არონიშიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ბ. გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა, დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა.

გორდეზიანი, ლ. (2012) *ძველი ისტორიის ნარკვევები,* მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა, რედ. ირინე ტატიშვილი, თბილისი.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (1971) თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (1973) თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ინგოროყვა, პ. (1954) გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, ნაწილი პირველი, რედ. ვ. დონდუა, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“.

იოანე მამიკონიანი. (1941) ტარონის ისტორია, ერევანი. სომხურ ენაზე.

იოანე მამიკონიანი. (1853) წმინდა ნერსესის ისტორია და წმინდანთა ნაწილების აღმოჩენა, ვენეცია. სომხურ ენაზე.

სამუშია, ჯ. (2003) ბიზანტიურ-ქართულ-სომხური სამხედრო კოალიცია თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ (ბასიანის ბრძოლა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, 349, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამუშია, ჯ. (2005) ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, კრებული: ქართული დიპლომატია, წელწდეული №12, რედ. როინ მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქართლის ცხოვრება. (1955) ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.

ქართლის ცხოვრება. (1959) ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

Kartlis Tskhovreba (A History of Georgia). (2014) The Georgian Chronicles of Kartlis Tskhovreba, Editor in Chief of the English edition: Prof. S. Jones (USA), Georgian National Academy of Sciences, Tbilisi, ARTANUJI Publishing.

Salvini, M. (2008) *Corpus dei testi urartei. Le iscrizioni su pietra e roccia.* Vol. I: Texte. Vol. II: Thesaurus. Vol. III: Album de planches photographiques. *(Documenta Asiana* 8), CNR/Istituto di studi sulle civiltà dell'Egeo e del Vicino Oriente, Roma. [სალვინი, 2008, ურარტული ტექსტების კორპუსი, ტომი 1, იტალიურ ენაზე.].

Salvini, M. (2012). *Corpus dei testi urartei*, Vol. IV, Iscrizioni su bronzi, argilla e altri supporti, nuove iscrizioni su pietra, paleografia generale, Roma. [სალვინი, 2012, ურარტული ტექსტების კორპუსი ტ. IV, იტალიურ ენაზე.].

Aydın, D. (1998) *Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilati: Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566),* Dizi VII, Sayı 151, Ankara, Türk Tarih Kurumu Basımevi. [აიდინი, 1998, ერზურუმის საბეგლარბეგოს დაარსება და გაფართოება, თურქულ ენაზე.].

Belli, O. (2011) ,,Eskiçağ'da Erzurum Bölgesi", *Bir Şehir Var Yaylada Erzurum,* Ed-ler: E. Yazıcı ve H. Bozoğlu, Erzurum, Erzurum İl Özel İdaresi. s. 17-40. [ბელი, 2011, ერზურუმის რეგიონი უძველეს პერიოდში, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2001) ,,1999 Yılı Erzincan ve Erzurum Yüzey Araştırmaları", *18. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* İzmir, 22-26 Mayıs, 2000. Ankara, Kültür Bakanlığı Milli Kütüphane Basımevi, s. 71-82. [ჯეილანი, 2001, ერზინჯანის და ერზურუმის 1999 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2003) ,,2001 Yılı Erzincan, Erzurum ve Kars İlleri Yüzey Araştırmaları", *20 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Ankara, 27-31 Mayıs, 2002. Ankara, Kültür Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 311-324. [ჯეილანი, 2003, ერზინჯანის, ერზურუმის და ყარსის პროვინციების 2001 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2004) ,,2002 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *21 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 2.* Ankara, 26-31 Mayıs, 2003. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm Basımevi,s. 263-272. [ჯეილანი, 2004, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2002 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Bingöl, A. ve Topaloğlı, Y. (2008) ,,2006 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *25 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 3.* Kocaeli, 28 Mayıs-01 Haziran, 2007. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 129-148. [ჯეილანიდა სხვ., 2008, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2006 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Günaşdı, Y.,Özgül, O., Ceylan, N., Üngör, İ. ve Kalmış, G. (2018) ,,Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırması (2016)", *35 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 1.*Bursa, 22-26 Mayıs, 2017. Bursa, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 85-102. [ჯეილანი და სხვ., 2018, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2016 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Üngör, İ.,Özgül, O., Ceylan, N., Günaşdı, Y. ve Bingöl, A. (2017) ,,2015 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *34 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Edirne, 23-27 Mayıs, 2016. Edirne, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 25-50. [ჯეილანი და სხვ., 2017, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2015 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, N. (2022) ,,Erzurum ve Erzincan çevresindeki Urartu dönemi kaya basamaklı su tünelleri. XVIII. TTK Kongresi, IV, 569-598. [ჯეილანი, 2022, ერზურუმის და ერზინჯანის არეალში მდებარე ურარტული პერიოდის კლდის საფეხურებიანი წყლის გვირაბები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, N., Günaşdı, Y.,Üngör, İ., Özgül, O., Topaloğlı, Y., Bingöl, A. ve Ceylan, A. (2015) ,,2013 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *32 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Gaziantep, 02-06 Haziran, 2014. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 71-92. [ჯეილანი და სხვ., 2015, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2013 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Günaşdı, Y., Topaloğlı, Y., Bingöl, A. ve Ceylan, A. (2012) ,,2010 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *29 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 3.* Malatya, 23-28 Mayıs, 2011. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı, s. 49-70. [გუნაშდი და სხვ., 2012, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2010 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Günaşdı, Y., Üngör, İ. ve Ceylan, A. (2020) ,,2019 Yılı Erzurum-Erzincan İlleri Yüzey Araştırması ", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 26,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 661-684. [გუნაშდი და სხვ., 2020, ერზურუმის და ერზინჯანის პროვინციების 2019 წლის ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Güneri, A. S. (1987) ,,Erzurum Çevresindeki Höyüklerin Yüzey Araştırması ", *V. Araştırma Sonuçları Toplantısı.II.* Ankara, 6-10 Nisan, 1987. Ankara, T.C. Kültür ve Turizm Bakanlığı , s. 45-76. [გუნერი, 1987, ერზურუმის არეალის გორანამოსახლარების ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Kadıoğlu, H. H. (2020) *Bir Pasin Kitabı*, Erzurum, Pasinler Belediyesi Yayınları-1. [ქადიოღლუ, 2020, ზოგადი ცნობარი ფასინლერის რაიონის შესახებ, თურქულ ენაზე.].

Karageçi, M. ve Günaşdı, Y.(2019) ,,Erzurum'da Önemli Bir Urartu Kalesi: Harami Kale", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 24,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 649-667.[კარაგეჩი და სხვ., 2019, ჰარამის ციხე - ურარტული ციხე ერზურუმის რეგიონში, თურქულ ენაზე.].

Karaosmanoğlu, M., Işıklı, M. ve Can, B. (2003) ,,2001 Yılı Erzurum Ovası Yüzey Araştırmaları ", *20. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 1.* Ankara, 27-31 Mayıs, 2002. Ankara, Kültür Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 345-356. [კარაოსმანოღლუ და სხვ., 2003, ერზურუმის მხარის 2001 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Karaosmanoğlu, M., Işıklı, M. ve Can, B. (2004) ,,2002 Pasinler Ovası Yüzey Araştırması", *21 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 1.* Ankara, 26-31 Mayıs, 2003. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 301-310. [კარაოსმანოღლუ და სხვ., 2004, ფასინლერის მხარის 2002 წლის ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Kiliç, Ü. (2010) ,,XIX Yüzyılın İlk Yarısında Pasinler ve Köylerinin Demografik ve İskan Yapısı", *A. Ü. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, Taed 42,* Ed. M. Akpınar, Kafkas Üniversitesi, Erzurum, s. 241-257. [კილიჩი, 2010, ფასინლერის სოფლების დემოგრაფია XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თურქულ ენაზე.].

Özgül, O. (2011) *Eskiçağda (Yukarı) Aras Vadisi,* Doktora Tezi, Erzurum. [ოზგული, 2011, არაქსის ხეობის ზემო წელი უძველეს პერიოდში, თურქულ ენაზე.].

Özgül, O., Ceylan, A., Bingöl, A., Topaloğlı, Y., Günaşdı, Y.ve Üngör, İ. (2013) ,,2011 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *30 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Çorum, 28 Mayıs – 1Haziran, 2012. Çorum, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı, s. 277-292. [ოზგული და სხვ., 2013, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2011 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Özkaya, V. (1994) ,,Erzurum-Horasan-Aliçeyrek Köyü Yüzey Araştırması ", *XI. Araştırma Sonuçları Toplantısı.*Ankara, 24-28 Mayıs, 1993. Ankara, Ankara Üniversitesi Basımevi, s. 379-395. [ოზკაია, 1994, ზედაპირული კვლევა ჰორასანის რაიონის სოფელ ალიჩეირეკში, თურქულ ენაზე.].

Sagona, C. and Sagona, A. (2001) ,,An Archaeological Survey of The Erzurum Plain, 1999", *18. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* İzmir, 22-26 Mayıs, 2000. Ankara, Kültür Bakanlığı Milli Kütüphane Basımevi, s. 67-69. [საგონა და სხვ., 2001, ერზურუმის 1999 წლის არქეოლოგიური კვლევა, ინგლისურ ენაზე.].

Topaloğlı, Y., Günaşdı, Y.,Bingöl, A. ve Ceylan, A.(2011) ,,2009 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *28 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* İstanbul, 24-28 Mayıs, 2010. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını,s. 1-19. [ტოპალოღლუდა სხვ., 2011, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2009 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Topaloğlu, Y. (2009) ,,Eskiçağda Pasin Ovası", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 3,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 245-265. [ტოპალოღლუ, 2009, ბასიანის ველი უძველეს პერიოდში, თურქულ ენაზე.].

Üngör, İ., Bingöl, A., Topaloğlı, Y., Günaşdı, Y., Ceylan, N., Özgül, O. ve Ceylan, A. (2014) ,,2012 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *31 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 1.* Muğla, 27-31 Mayıs, 2013. Muğla, Muğla Sıtkı Koçman Üniversitesi Basımevi, s. 61-77. [უნგორი და სხვ., 2014, ერზინჯანის და ერზურუმისპროვინციების 2012 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Yurttaş, H., Özkan, H., Köşklü, Z. ve Kindiğili, M. L. (2011) ,,Erzurum'un Tarihi Eserleri", *Bir Şehir Var Yaylada Erzurum,* Ed-ler: E. Yazıcı ve H. Bozoğlu, Erzurum, Erzurum İl Özel İdaresi. s. 91-208. [იურტტაში და სხვ., 2011, ერზურუმის ისტორიული ძეგლები, თურქულ ენაზე.].

Меликишвили, Г.А. (1960). *Урартские клинообразные надписи*, Наука, Москва. [მელიქიშვილი, 1960, ურარტული ლურსმნული წარწერები, რუსულ ენაზე.].

მასალები ელექტრონული სახით

https://nisanyanmap.com/?y=Kurban%C3%A7ay%C4%B1r%C4%B1&lv=&t=&cry=TR&ua=10 [ონლაინ]. (წვდომის დრო: 20 ნოემბერი 2022), გარმირ-ვანქის მონასტრის შესახებ, თურქულ ენაზე.].

https://nisanyanmap.com/ [ონლაინ]. (წვდომის დრო: 20 ნოემბერი 2022), თურქული სოფლების შესახებ, თურქულ ენაზე.].

https://tr.wikipedia.org/wiki/Kategori:Horasan%27%C4%B1n_mahalleleri [ონლაინ]. (წვდომის დრო: 23 იანვარი 2024), თურქული სოფლების შესახებ, თურქულ ენაზე.].

https://en.wikipedia.org/wiki/Pasinler [ონლაინ]. (წვდომის დრო: 23 იანვარი 2024), თურქული სოფლების შესახებ, თურქულ ენაზე.].

https://en.wikipedia.org/wiki/K%C3%B6pr%C3%BCk%C3%B6y [ონლაინ]. (წვდომის დრო: 24 იანვარი 2024), თურქული სოფლების შესახებ, თურქულ ენაზე.].

https://www.nufusune.com/horasan-mahalleleri-koyleri-erzurum [ონლაინ]. (წვდომის დრო: 24 იანვარი 2024), თურქული სოფლების შესახებ, თურქულ ენაზე.]. [Online]. (access time: 24 Januar 2024), about Turkish villages, in Turkish.].